# დროება

## ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 12 სამშაბათი, 2 დეკემბერი 1908 წ. № 12

გაზეთი „დროება“ ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭВА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.



მარიამ სვიმონის ასული და ზაქარია დავითის ძე თოიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—მეუღლის და მეორე—ძმის

**ანტონ დავითის ძის თოიძისას.**

მიცვალებულის გამოსვენება დანიშნულია სამშაბათს, 2 დეკემბერს, დილის 10 საათზე, გოგოლის ქუჩიდან კუკიის სასაფლაოზე წმ. ნინოს ეკლესიაში. (1—741—1)

**ტფილისის სახაზინო თეატრი**

სამშაბათს, 2 დეკემბერს, ბენეფისი ვ. სარაჯიშვილისა.

**„მარგალიტის მაძიებელნი“**

მონაწილენი: ქ-ნნი ორპოვა; სარაჯიშვილი, როსსოლიმო, ტომსკი და სხვ.

დირიჟორი **ი. პ. ფალიაშვილი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ანონსი:** 3 დეკემბერს „მხიარული ქვრივი“, 9 დეკემბერს ბენეფისი ოსიპოვისა.

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა **გრიგ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—6.—12)

**ექიმი ი. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჯალის ქუჩა, N 41, სახელიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 11—1 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—22)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—41)

**ექიმი გ. ი. ხოჯააკარუხოვი** ყოფილი ასისტენტი ოდესის უნივ. კლინიკისა, მიღება სიფილისის, სამარდით და კანით ავადმყოფთა დილით 11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და მშვენებისათვის 11—12 ს. სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—6)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი** ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსენატი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების ხატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—81)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გირონნი, N 9. (უ)

**სამკურნალო** ქუთაისში ქირურგიული და დედათა სნეულებისა ტერაპევტიულ განყოფილებით, მუდმივ საწოლებით და მიხალოგინებელ ოთახით **ექიმი ივ. ბოკერიასი**

ამ წლის 10 ნოემბრიდან გადადის პრინცესა მიურატის სახლში, გიმნაზიის ქუჩაზე, სადაც წინად თოფურიას სამკურნალო იყო. (6—15)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდურონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—39)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

**სამკურნალო** ქუთაისში, ქირურგიული და დედათა სნეულებისა, მუდმივი საწოლებით, ტერაპევტიულ განყოფილებით და მიხალოგინებელ ოთახით **ექიმის ივ. ბოკერიასი** (გიმნაზიის ქუჩა, პრინცესა მიურატის სახლი, სადაც წინად ს. თოფურიას სამკურნალო იყო).

**ექიმი ვალ. ლორთქიფანიძე**—შინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებით ავად. დილით 9—1 და საღამოთი 4—6 ს.

**ექიმი ივ. ბოკერია**—ქირურგიული, ქალის, ვენერიულ და კანის სნეულებით ავად. დილით 9—1 ს. და საღამოთი 4—6 ს.

**რჩევა ათი შაური.**

კონსულტაცია და ოპერაცია შეთანხმებით. მძიმე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. (25—6.—4)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **მ. ი. ბებიაშვილი** იღებს ავადმყოფებს დილით 9—1 ს. საღამოთი 3—5 ს. ბალახვანის ქუჩა, ფიფინოვის სახლი, N 4. (25—6—17)

**„წერა-კითხვის საზოგადოების“ მეორე სამკითხველო** ხელახლად გაიხსნა ვერაზე, წყნეთის ქუჩაზე. ყოველ დღე (გარდა დღესასწაულებისა) ღიაა დილით 10 საათიდან 2-მდე და საღამოთი 5—7 საათამდე. (2—უ—2)

**გამოვიდა და იყიდება** ბროშურა კიტა აბაშიძისა:

**„აკაკი წერეთელი“**

(სალირიკო პოეზია)

ფასი სამი შაური. (10—უ.—6)

**სახალხო უნივერსიტეტი**

ავლაბარში საღამოს სკოლის დამაარსებელი ჯგუფი მიმართავს იმ პირთ, ვინც ჩაწერილია ხსენებულ სკოლაში, მოვიდეს ორშაბათს, 7 დეკემბერს, საღამოს 5 ნახევარ ს. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ სკოლა მოაწყო.

ახალ მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ როზოვოი მოედანზე სახალხო ბიბლიოთეკაში.

სწავლის ფასი სამთვეში ერთი მანეთი. ჯგუფის მონდობილებით **გიგო ვასილევი.** (2—უ—1)

**აკაკის საიუბილეო კომიტეტი**

**ამით საყოველთაოდ აცხადებს:**

1. აკაკის დღესასწაული დანიშნულია დეკემბრის 7-ს და დაიწყება დილის 10 საათზე.

2. დეპუტაციებმა ახლავე უნდა აცნობონ მთავარ კომიტეტს ჩამოსვლის შესახებ (ვისგან და რამდენი კაცისაგან იქნება დეპუტაცია), რომ ამის მიხედვით შემუშავდეს წესრიგი.

3. დეპუტაციებმა 6 დეკემბერს წ.-კითხვის საზოგადოებაში უნდა მიიღონ შესასვლელი ბილეთები.

4. აკაკის რჩეულ ლექსთა კრებული ავტორის ბიოგრაფიით და სურათით (64 გვ.) დაეთმობა ადგილობრივ კომიტეტებს 3 კაპეიკ ნახევარათ ცალი. ამის მიხედვით ახლავე უნდა მოიწერონ კომიტეტებმა, თუ ვის რამდენი უნდა წიგნი და ხვედრი ფულიც გამოგზავნონ.

5. ღია ბარათი აკაკის სურათით ცალი ღირს ორი კაპ.

6. აკაკის ფოტოტიპიური სურათი 30—40 სანტ.) გაიყიდება ცალი 40 კ.

7. აკაკის სულ დიდი სურათი გასაყიდად არ მოიპოვება და ვისაც სურს საგანგებოდ უნდა შეუკვეთოს ფოტოგრაფიას. (6—უ.—3)

**საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში**

ხუთშაბათს, 4 დეკემბერს,

**ქართულ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურის** საზოგადოების ინიციატივით საზოგადოების წევრი გრ. რობაქიძე წაიკითხავს საჯარო ლექციას

**„აკაკი წერეთელი და მისი პოეზია“.**

ადგილების ფასი 50 კაპ.—2 მან. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. (3—უ—1)

**ქართლის** საუფლისწულო მამულში არის გასასყიდი ათი ათასამდე ფუთი **თივა** ამა 1908 წლის მოსავლისა.

გაყიდვის პირობების გაგება შეიძლება მამულის სამმართველოში, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ქსნის სადგურზე. (3—643—2)

ქ. ქუთაისში

**თ. ა. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში**

(ალექსანდრ. ქ. ბულვარის მახლობლად, დიმ. ზ. ბოკერიას შენობაში)

იყიდება ყოველგვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელოები და საკითხავი წიგნები.

სოფლის მასწავლებლებს, სოფლის სკოლებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ დაკლებულ ფასით.

აქვე იყიდება წიგნი **გუთანი,** ოჯახსა და სკოლაში ყრმათათვის საკითხავი, შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის მიერ. ფასი 80 კ. (15—6.—14)

**თავად-აზნაურობის თეატრი**

**სეზონი 1908-9 წ.**

**ახლო მომავალში ქართულ დრამ. საზ. დასი დაიწყებს წარმოდგენების მართვას:**

**დ ა ს ი:**

ქ-ნნი: ბარათაშვილი ვ., კარგარეთელი ა. მ., მდივანი მ. დ., ნებიერიძე ვ. ბ., საგინაშვილი ა., ქილარჯიშვილი მ. გ., ჩერქეზიშვილი ე. ა., ჯავახიშვილი ნ. გ.; ბ-ნნი: აბაშიძე ვ. ა., გუნია ვ. ლ., გედევანოვი გ. ვ., გამყრელიძე ვ. მ., გვარაძე ნ. ს., ივანიძე ი. გ., იმედაშვილი ა. ს., იმხნელი გ., მესხი კ. ს., ქავიძე ი. გ., საფაროვი ზ. მ., ურუშაძე ვ. ლ., შათირიშვილი კ. ნ., შალიკაშვილი ვ. ი., ხაზმელი ი.

**დრო გამოშვებით მონაწილეობას მიიღებენ:**

ქ-ნნი: აბაშიძე ტასო, გაბუნია-ცაგარლისა ნ. მ.; ბ-ნნი: სვიმონიძე ს. პ., ყიფიანი კ. დ.

**სუფლიორები:** ბეგლარიძე ბ., გურული გ.

**რეპერტუარი: სამშობლო**—დ. ერისთავისა, **მეგობრობა**—ნ. შიუკაშვილისა, **ხელები**—ლემონიესი, თარგმ. ნ. ნაკაშიძისა, **სულელი**—ფულდისა, თარგმ. ვ. გუნიასი, **წინამძღოლნი**—ა. სუმბათაშვილისა, თარგმ. კ. მესხისა, **ღალატი**—ა. სუმბათაშვილისა, თარგმ. გ. ყიფშიძისა, **შლიუკი და იაუ**—ჰაუპტმანისა, თარგმ. ვ. გუნიასი, **სალხინო**—გადმოქართულებული ვ. ბარველისა, **მემკვიდრე პრინცი**—თარგმ. გ აბაკელიასი.

უფროსი რეჟისორი **ა. ი. ყანჩელი.**

რეჟისორი **ვ. ი. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ლ. ურუშაძე.**

**იაფი, მკვიდრი, კოხტა**

ახლად გაიხსნა გოლდშტეინის **ამერიკული მაღაზია** საათებისა, ოქროს და ბრილიანტების ნივთებისა (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, მაკკერის აფთიაქის გვერდით). მიღებულ იქნა მრავლად საათები შვეიცარიის საუკეთესო ფაბრიკებისა, სხვა და სხვა ოქროს ნივთები, დამზადებული საკუთარ სახელოსნოში. ექიმების რეცეპტებით ვამზადებ სათვალეებს **პენსნეებს**. საათების შეკეთება სპეციალურად მინდობილი აქვს ხელოსნებს, რომელნიც მუშაობდნენ „პაველ ბურე“-თან პეტერბურგში. ვთხოვთ მუშტარს თითონ დარწმუნდეს. (5—ხალ.—5)


**ტფილისი, 2 დეკემბერი.**

წარსულ კვირას კვლავ გადაიშალა ჩვენ თვალ წინ საზარელი სურათი ილია ჭავჭავაძის მოკვლისა,—სურათი წარმოუდგენელის მხეცობისა და ბარბაროსობისა. გონება გებნევა და სული გეხუთება, როცა სამხედრო სასამართლოში წაკითხულ საბრალმდებლო ოქმის იმ ადგილს კითხულობ, სადაც აწერილია საშინელი წამება, რომელიც ილიას მიაყენეს ტყიდან გამოვარდნილმა მხეცებმა..

საშინელი ბოროტმოქმედება მოხდა: საქართველოს საყვარელ მგოსანს და დიდ მოამაგეს გული გაუხვრიტეს ტყვიით და შუბლი გაუტეხეს თოფის კონდახებით. გონება ვერ ურიგდება ამ ყოვლად უაზრო მხეცობას და მომავალი თაობაც, ჩვენსავით თავზარდაცემული, შესძახებს მტარვალთ—რისთვის დაანთხიეთ უმანკო სისხლი დიდებულ მგოსნისა, რად ჩაიდინეთ ასეთი საზიზღრობა?!.

ეს ასეა, მაგრამ ჩვენ ყველას, ამ საშინელ ტრაგედიის მოწმეთ, გვმართებს გონება მოვიკრიფოთ და ადამიანური მოვალეობა ავასრულოთ. ჩვენ თვალწინ მზადდება მეორე საშინელება, რომელსაც აგრეთვე ვერ ურიგდება გონება, რომლის წინაშე უნდა დადუმდეს შურისძიების გრძნობა...

სასამართლოს წინაშე წარსდგა სამი კაცი: ოთარ ლობჟანიძე, გიგოლა მოძღვრიშვილი და გიორგი ხიზანაშვილი. საქმის მთელი გარემოება გვეუბნება, რომ ეს შეუგნებელი გლეხები მთავარი მომქმედნი პირნი არა ყოფილან წინწამურის ტრაგედიისა, რომ მათ სულსა და გულს პატრონობდა მძლავრი ხელი, როგორც პროკურორმა სთქვა, რომელიც მართლმსაჯულებას გაექცა. და ამ სამ კაცს, რომელთაც ნებაც და გონებაც დახშული აქვთ, სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა!..

სიკვდილით დასჯა საშინელი ნაშთია ძველ დროთა, რომლის გამართლება შეუძლებელია და რომელსაც ვერასოდეს ვერ შეურიგდება ადამიანი. ორი წელიწადია, რაც რუსეთში ხალხი თითქო შეეჩვია ამ საშინელებას, მაგრამ სწორედ ამ შეჩვევაშია ის განუზომელი ვნება, რომელიც კაცობრიობისათვის და ადამიანებისათვის მოაქვს ამ დასჯას: იგი რყვნის ხალხს, ამხეცებს ადამიანთ და მარჯვეთ არღვევს საზოგადოებრივ ცხოვრებას. მთელი ქვეყნის მოაზრენი, მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ადამიანობის სახელით და ხალხის სულიერ გაკოტრებიდან გადასარჩენად გვიწვევენ ამ საშინელ დასჯის წინააღმდეგ საპროტესტოდ.

დიდებულ და წამებულ მგოსნის ხსოვნა გვიწვევს ჩვენც, ქართველობას, ვითხოვოთ ამ საშინელების შეჩერება. გავიხსენოთ, რომ ილია ჭავჭავაძე—მქადაგებელი ჰუმანიურ და კაცთ-მოყვარე აზრებისა—მთელის თავის ბუნებითა და არსებით წინააღმდეგი იყო სიკვდილით დასჯისა და სახელმწიფო საბჭოშიაც ემზადებოდა მის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის. მხოლოდ საბჭოსა და სათათბიროს დათხოვნამ დაუშალა ეს განზრახვა სისრულეში მოეყვანა. გავიხსენოთ ეს, გავიხსენოთ, რომ ერთ-ერთ თავის ლექსში ის განგებას ევედრებოდა — შეუნდე ჩემს მტრებს ცოდვა, რადგან არ იციან, რას სჩადიანო და ვითხოვოთ, იმ გასამართლებულთ სიცოცხლეს ნუ უსპობენ. ამას გვავალებს არა მარტო ჩვენი ადამიანური მოვალეობა, არამედ დიდებულ მგოსნის ანდერძი, დატანჯულ ილიას სახელის პატივისცემა. სამხედრო სასამართლოს თავისი კანონები აქვს და ჩვენ იმათ განხილვაში არ შევდივართ, ჩვენ ვიცით, რომ იგი სხვაგვარად არ მოიქცეოდა; მაგრამ ისიც ვიცით, რომ, ვისაც ჯერ არს, ნება აქვს სისრულეში არ მოაყვანოს საშინელი განაჩენი. ამიტომ მოვალენი ვართ ილიასავე სახელით, იმის წამებულ სიკვდილის სახელით ვითხოვოთ: სიცოცხლეს ნუ წაართმევენ იმათ, ვინც არ იცოდა, რას იქმოდა და ვინც ბნელი იარაღი იყო უჩინარის მძლავრის ხელისა.

## აკაკის იუბილეი

**ბათუმი.** ბათუმში, ადგილობრივ გაზეთის „ბ. გ.“-ს სიტყვით, 28 ნოემბერს მომხდარა კრება ვაჭრებისა. დელეგატად დღესასწაულზე დასასწრებლად აურჩევიათ ნ. ნ. საბაშვილი.

ადგილობრივ ქალთა ერთ წრესაც აურჩევია დელეგატები—კნ. ნაკაშიძისა და ქ-ნი ქიქოძისა.

—

**სტუდენტები.** ტფილისში მყოფმა რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ქართველმა სტუდენტებმა თავიანთ კრებაზე 29 ნოემბერს დაადგინეს, მონაწილეობა მიიღონ აკაკის საიუბილეო დღესასწაულში, და ამოირჩიეს ორი დელეგატი. ამასთან სტუდენტებმა წინადადება მისცეს მთავარ საიუბილეო კომიტეტს, რომ დაეხმარებიან წესიერების დასაცველად თეატრში და პროცესიის დროს.

—

**ბილეთები.** მიმლოცველ დეპუტატებს ბილეთები მიეცემათ სცენაზე შესასვლელად. თუ რომელიმე დეპუტატი მოისურვებს ბილეთი იყიდოს პარტერში შესასვლელად ან დილისთვის, ეს ცალკე უნდა განაცხადოს. ბილეთები როგორც დილისა, ისე საღამოსი გაიყიდა. დეპუტატებისათვის შენახულია 65 ფასიანი ადგილი. ამდენივე საღამოსი.

—

**იურიევის სტუდენტობა.** როგორც გვატყობინებენ, იურიევის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტობას გადაუწყვეტია, მიულოცოს იუბილიარს 50 წლის მოღვაწეობა და გამართოს საღამო. წაიკითხავენ რეფერატებს.

—

**გრ. რობაქიძის ლექცია.** ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამგეობის ინიციატივით ლექტორი გრ. რობაქიძე ხუთშაბათს, 4 დეკემბერს, ტფ. საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში წაიკითხავს ლექციას აკაკი წერეთლის მნიშვნელობის შესახებ.

—

**საბალოსნო სკოლა.** ტფ. საბალოსნო სკოლის საპედაგოგიო საბჭომ დაადგინა, მიულოცოს იუბილიარს დღესასწაული და განსაკუთრებულ დეპუტატების ხელით მიართვას ადრესი.

—

**წიგნაკი.** აკაკის საიუბილეო კომიტეტის გადაწყვეტილებით, იბეჭდება და 7 დეკემბრისთვის ხალხში გასავრცელებლად გამოვა აკაკის თხზულებანი: „ნაცარ-ქექია“, „გოგია მეჩონგურე“ და „ქუთათელის სიზმარი“.

—

**ნაკაშიძის ლექცია.** ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ მიიწვია ი. პ. ნაკაშიძე რამდენიმე ლექციის წასაკითხად მგოსნის აკაკის შესახებ. პირველ ლექციას ზუბალაშვილის სახალხო სახლში ნაკაშიძე წაიკითხავს რუსულ ენაზე შაბათს, 6 დეკემბერს.

—

**სამეურნეო საზოგადოება.** ხვალ, 3 დეკემბერს, სხდომა ექნება კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომელიც განიხილავს საკითხს აკაკის საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობის მიღების შესახებ.

—

**დ. ხარაგაული** (ბელაგორი). 27 ნოემბერს, რამდენიმე წინასწარ კრების შემდეგ, მოხდა საერთო კრება აკაკის იუბილეის შესახებ მოსალაპარაკებლად. თათბირი იყო იმაზე, თუ როგორ ედღესასწაულნათ ბელაგორსა და მის რაიონს აკაკის იუბილეი. წინადვე არჩეულმა კომიტეტმა შეიმუშავა შემდეგი: 7 დეკემბერს ადგილობრივ ორ კლასიან სამრევლო სკოლის ეკლესიაში გადახდილ იქნას წირვა და პარაკლისი. პარაკლისის წინ ერთი მღვდელი წარმოსთქვამს შესაფერ სიტყვას. საზოგადოების გარდა წირვასა და პარაკლისს დაესწრებიან ადგილობრივი სკოლის მოსწავლენი და მასწავლებელნი. პარაკლისის შემდეგ დაიწყება სკოლის დარბაზში სალიტერატურო დილა: წაიკითხება აკაკის ბიოგრაფია; მოწაფეები და მასწავლებლები წაიკითხავენ პოეტის რჩეულ ლექსებს. ხორო შეასრულებს რამდენსამე სიმღერას; დილა დაგვირგვინდება აკაკის ვოდევილის წარმოდგენით: „ბუტიაობა“.

ამის გარდა კომიტეტმა დაადგინა: 1. მიეცეთ წინადადება ბელაგორის რაიონის სოფლის მასწავლებლებს და მღვდლებს, იმ დღეს გადიხადონ პარაკლისი და გააცნონ ხალხს აკაკის ვინაობა; 2. გაიგზავნოს მისალოცი ადრესი ხარაგაულის სოფლის საზოგადოებისაგან, მოსწავლეთა და მასწავლებელთაგან; 3. ეთხოვოს მთავარ კომიტეტს, გამოჰგზავნოს აკაკის რჩეულ ლექსთა წიგნაკის რამდენიმე ცალი ხალხში უფასოდ დასარიგებლად; 4. მგოსნის სახელის უკვდავსაყოფელად დაარსდეს ბელაგორში სამკითხველო აკაკის სახელზე. **რისხვა.**

—

**დ. ზუგდიდი.** აქაც მოხდა კრება აკაკის იუბილეის შესახებ. კრებამ დაადგინა: 1. აკაკის სახელობაზე დაარსებულ იქმნას დ. ზუგდიდში წიგნთ-საცავ-სამკითხველო; 2. საიუბილეო დღეს გამართულ იქმნას საღამო; 3. დაევალოს დ. ზუგდიდისა და მახლობელ ეკკლესიების მღვდლებს, გადაიხადონ პარაკლისი. აირჩიეს კომიტეტი, რომელსაც დაევალა დადგენილების სისრულეში მოყვანა. კომიტეტში არჩეულ იქმნენ: კნ. ც. ერისთავისა, ქ-ნი მ. ფანიევისა, მღ. ე. შენგელაია, ექ. იას. მუჯირი, მ. ნიკურიძე, ტ. ჯგუშია, ნ. ბუკია, ნ. დავითაია, პ. ქვანია და დ. კარტოზია. **ზუგდიდელი.**

—

**დ. სურამი.** ქალთა კრებამ აკაკის იუბილეიზე ტფილისში გასაგზავნად აირჩია: ქ-ნნი ეფროსინე ანანიევისა, ნატალია გიგაური და მარიამ ნოდიასი. ქალთა მიერ შეკრებილი ფული უკვე გაიგზავნა ტფილისს.

—

**როსტოვი.** როსტოვში მყოფმა ქართველებმა მოვილაპარაკეთ და დავადგინეთ შემდეგი: 1. გაეგზავნოს იუბილიარს როსტოვში მყოფ ქართველთა სახელით მისალოცი დეპეშა; 2. შეიკრიბოს ფონდისთვის ფული, რომელიც უნდა გაეგზავნოს მთავარ კომიტეტს; 3. შემომწირველთა სია დაიბეჭდოს ქართულ გაზეთ „დროებაში“; 4. აქაურ საკრე-

ბულო ტაძარში გადაეხადოთ სამადლობელო პარაკლისი და 5. ამ საქმის შესრულებ: მიენდოს სპირიდონ ხვიჩის, სამსონ ბარამიძეს, ნოე ტოიძეს და სიმონ საკაშვილს.

**ჭურთაველი.**

—

**ახალქალაქი** (გორის მაზრა). ახალქალაქის რაიონის გლეხებმა თავიანთ წარმომადგენლად აკაკის იუბილეიზე აირჩიეს ქ-ნი ან. კაპანაძისა.

**მეთვალყურე.**

—

**აბაშა.** (სენაკის მაზრა). გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში. განვიძრახე მეც მივიღო მონაწილეობა აკაკი წერეთლის საიუბილეო დღესასწაულში. მსურდა ლატარიაში ჩამეგდო საკუთარი საკერავი მანქანა და შემოსული ფული გადამეცა აკაკის ფონდის სასარგებლოდ. ვისაც ვთხოვე, ყველამ დაუზარებლად მიიღო მონაწილეობა და მომიწერა ხელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ადგილობრივმა პოლიციამ ნება არ დაგვთო ლატარიისა. ამისათვის, თანახმად ხელის მომწერთა სურვილისა ამასთანავე გაახლებთ რაცხრამეტ მანეთს და სიას ხელის მომწერთა, გთხოვთ ფული გადასცეთ კუთვნილებისამებრ აკაკის ფონდის სასარგებლოდ, ხოლო ხელის მომწერთა სია დაბეჭდოთ.

P. S. სიისამებრ თუმცა ფული უნდა უყოს 25 მანეთი და არა 19 მანეთი, მაგრამ ექვსი მანეთი დაიხარჯა ნება-რთვის აღების საქმეში, მისვლა-მოსვლაში და განცხადებათა დაბეჭდვაში.

**ივლიტა კონსტანტინე თოფურიძის ასული.**

ხელის მომწერთა სია: მამანტი და ნინა კანდელაკნი 2 მ., იაკობ და ს. ბუხბინდერი 2 მ., გიორგი და მარია ცერცვაძენი 1 მ., სოკრატ ძმისტარიშვილი 1 მ., ბესარიონ ნარიშერაშვილი 1 მ; ათ-ათი შაური: ირაკლი პანტურაია, ნიკო გეგეჭკორი, ეფროსინე გეგეჭკორისა, ვარ. დაბ. რტყალავა, პავლე ბოლქვაძე, რომანოზ ცომაია, მატრონა ჩიქოვანი, დიმიტრი ჩოჩია, სპირიდონ კაჭარავა, ბათუ ქოიავა, ბესარიონ ტყემუჩავა, ი. მიხაილაშვილი, კირილე გეგენავა, ირაკლი ქვანია, ალექსი ქოიავა, ფეოდოსი კაჭარავა, რეზიკო გაჩეჩილაძე, დუკა ქოიავა, მაკრინა კაჭარავა, ბაგრატ დოდიძე, ელისაბედ ჩიქოვანი, ივლიანე იობაძე, პეტრე ქლიავა, კოლია ჩოჩია, ვ. კაჭარავა, გიორგი ჩიქოვანი, გიორგი ცომაია, იოსებ მასხულია, სოლომონ ჭუმბურია, ვასო ქობელია, ვერა კაკაბაძე, დავით ნობაქიძე, ანდრო ჩხეიძე, ვლადიმერ პანტურაია, ბიკტორ გორგაძე, ბიტუ კაჭარავა.

## სახელმწიფო სათათბირო

**აგრარული საკითხი**

მე-22 სხდომაზე სათათბირომ განაგრძო კამათი 9 ნოემბრის კანონის 1-ლ მუხლის შესახებ. ამ მუხლის დამტკიცების წინააღმდეგ ილაპარაკა ხუთმა ორატორმა, ორმა—მხარი დაუჭირა. ამათ გარდა ილაპარაკა ისევ მთავრობის წარმომადგენელმა შინ. საქმ. მინ. ამხანაგმა ლიკოშინმა. ბოლოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს „დარჩეს თუ გამოირიცხოს კანონ-პროექტიდან მუხლი 1-ლიო?" უმრავლესობამ (პოლონელთა კოლო, ოქტომბრისტები, ზომიერი მემარჯვენენი და მემარჯვენენი) დანარჩენთა წინააღმდეგ დაამტკიცა 1-ლი მუხლი. სათათბირო შეუდგა 1-ლ მუხლის სხვა და სხვა შესწორებათა გარჩევას. ბოლოს, ყველა ეს შესწორება უარყოფილ იქმნა და 1-ლი მუხლი მიღებულ იქმნა კომისიის მიერ შემუშავებულ ფორმულაში. მოგვყავს სავსებით ეს მუხლი, დიდმნიშვნელოვანი შიდა რუსეთის სოფლისა და მშრომელ გლეხობისათვის: „სასოფლო საზოგადოებანი და სოფლები, სადაც სათემო მიწების განაწილება არ მომხდარა გლეხთა განთავისუფლების დროიდან ან სადაც ასეთი განაწილება არ მომხდარა უკანასკნელ 24 წლის განმავლობაში, აღიარებულნი არიან კერძო მესაკუთრეობის წესებზე გადასულებად", ესე იგი, ასეთ სოფლებში სათემო მიწათ მფლობელობა დარღვეულად არის ცნობილი ამიერიდან. გლეხს **გუზს** შემოაქვს ფორმულა, რომლით გამოცხადებულია სურვილი, რომ მთავრობამ არავითარი ძალდატანება არ იხმაროს სათემო მფლობელობის დასარღვევად, რომ თემობის დარღვევა გლეხების ნებაზე იყოს. **შიდლოვსკი** აღნიშნავს, რომ ასეთ ფორმულას აზრი და მნიშვნელობა ექნება მხოლოდ მთელის კანონის მიღების შემდეგ და არა პირველ მუხლის დამტკიცების შემდეგო. თავმჯდომარე გუზის წინადადებას კენჭს უყრის და უმრავლესობა (ოქტომბრისტები და მემარჯვენენი) უარჰყოფს მას, ესე იგი, იძულებით დარღვევას ძველის მიწათმფლობელობის წესებისას იწონებს. ეს დადგენილება სიცილსა და ირონიულ ტაშისცემას იწვევს მემარცხენეთაგან. შემდეგ გუზს შემოაქვს მეორე ფორმულა, რომლით გამოთქმულია სურვილი, მალე იქმნას შემუშავებული კანონპროექტი უმიწაწყლო და მცირე მამულიან გლეხებისათვის მიწების მიზომვის შესახებაო. სათათბირომ ეს ფორმულა შეიწყნარა.

**სესხის აღების პროექტი.**

ოც და მესამე სხდომა სათათბირომ მოანდომა მთავრობის პროექტის განხილვას ახალ სესხის აღების შესახებ. მთავრობა მოითხოვს, რომ მიეცეს მას ნება 450 მილიონი მანეთი ესესხოს.

ფინანსთა მინისტრი **კოკოვცევი** განმარტავს პროექტს: 300 მილ. მან. მთავრობას სჭირია მოკლევადიან ვალის გასასტუმრებლადო, ხოლო დანარჩენ 150 მილიონით უნდა დაიფაროს მომავალ წელს მოსალოდნელი დეფიციტიო. **აჯემოვი** (კადეტი) აღნიშნავს, რომ მთავრობა მოვალე იყო დაწვრილებითი ცნობები წარმოედგინა სესხის პირობათა შესახებ: როდის იქნება აღებული, რამდენი იქნება სარგებელი, როგორ მოხდება რეალიზაცია სესხისა და სხვა. არსებითად კი ორატორი იმ აზრისაა, რომ მოკლევადიან ვალის გასასტუმრებლად, მეტი გზა არაა, ეხლავ უნდა ვისესხოთ ფულიო, მაგრამ მომავალ დეფიციტზე ლაპარაკი ჯერ რა დროსიაო. თუ მთავრობას წინდაწინვე მივცემთ ფულს, რაღა მნიშვნელობა ექნება ჩვენს (დას) ბიუჯეტის განხილვის საქმეში? რაც უნდა შევამოკლოთ ზოგი უსარგებლო ხარჯი, მთავრობა ყურადღებას არ მიაქცევს სათათბიროს დადგენილებას, რაკი ჯიბეში ფული ექნებაო. ამიტომ, კ.-დ. ფრაქციის აზრით, 150 მილ. მანეთის სესხად აღებაზე სათათბირომ უარი უნდა უთხრას მთავრობასაო (ტაშისცემა მარცხნით). **კროპოტოვი** (ტრუდოვიკი) შენიშნავს, რომ მთავრობა და სათათბ. უმრავლესობა დაურიდებლად ხარჯავენ ხალხის ფულსაო; რომ ახალ სესხის აღება საჭირო არაა, რადგან ვალის გასასტუმრებელი ფული და აგრეთვე დეფიციტის დასაფარავად საჭირო თანხა ისედაც მოიძებნება, თუ შევამცირებთ ზოგიერთ უნაყოფო ხარჯებსაო. **პოკროვსკი მე-2** (ს.-დ.) თავის ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ პროექტის წინააღმდეგნი არიან, რადგან ს.-დ. სრულის უნდობლობით უყურებენ მთავრობის საფინანსო პოლიტიკასაო. ეს პოლიტიკა რუსეთის ხალხის ინტერესების წინააღმდეგია, რადგან დაურიდებლად და უნაყოფოდ იხარჯება ხალხისაგან აღებული მილიონებიო. **ალექსენკო** ოქტომბრისტების სახელით, **კოვალენკო 1-ლი** და **ციტოვიჩი** ნაციონალისტ მემარჯვენეთა ფრაქციების სახელით მხარს უჭერენ მთავრობის მოთხოვნას. კიდევ ცოტა კამათის შემდეგ სათათბირო შეუდგა კენჭის ყრას. კანონ-პროექტის პირველი ნაწილი —300 მილიონის სესხის შესახებ— მიღებულ იქმნა ყველა ფრაქციების ხმების უმრავლესობით წინააღმდეგ ს.-დ.-სა და ტრუდოვიკებისა; მეორე ნაწილი—150 მილიონის სესხის შესახებ—ოქტომბრისტების, კოლოს და მემარჯვენეთა ხმებით წინააღმდეგ კადეტებისა და დანარჩენ მემარცხენეთა.

## სასამართლო

**ილია ჭავჭავაძის მოკვლა**

(იხ. «დროება» № 11.)

სასამართლოს სხდომებს ხალხი ნაკლებად დაესწრო. შეიძლება ამისი მიზეზი ის იყო, რომ გაზეთებში გვიან გამოცხადდა საქმის გარჩევის დღე. შეიძლება ბევრს ისიც ეგონა, რომ სამხედრო სასამართლოში შესვლა არ შეიძლებაო.

საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა ბრალდებულთ: თქვენ, ლაბაურს, მოძღვრიშვილს და ხიზანაშვილს, გბრალდებათ ილია ჭავჭავაძის და მისი მსახურის იაკობ ბითარაშვილის მოკვლისა და კნ. ო. ჭავჭავაძის მოკვლის განზრახვაში მონაწილეობის მიღება. დამნაშავედ სცნობთ თავს თუ არაო. ბრალდებულებმა თავი დამნაშავედ არ იცნეს.

მოწმეების მოკითხვის დროს, სხვათა შორის, არ აღმოჩნდა ერთი მოწმე, ილიას ნამოურავალი დიმიტრი ჯაში. ბოლოს, როცა მოწმეები მოიკითხეს ფიცის მისაღებად, ჯაში სასამართლოს წინაშე წარსდგა და განაცხადა: მე სასამართლოში მოვედი, როგორც გაზ. „კავკაზის" წარმომადგენელი. თუმცა მე უწყება არ მიმიღია, მაგრამ თუ სასამართლო მოისურვებს, ვაჩვენებ, რაც ვიცი ამ საქმისაო. სასამართლომ დააფიცა მოწმენი და შეუდგა ჩვენების ჩამორთმევას.

მოწმე **თავ. ზაალ ჭავჭავაძე.** მოწმემ გაიმეორა თავისი ნათქვამი წინასწარ გამოძიებაზე და სხვათა შორის, განაცხადა: განსვენებული ილია ჭავჭავაძე მკვლელობის წინა კვირეებში ძალიან ფრთხილი იყო. წინად მისი სასეირნო ადგილი იყო სახლის მეორე აივანი, რომელიც გადაჰყურებს არაგვის ხეობას. აქ მგოსანი მთელ საღამოებს ატარებდა ხოლმე. ბოლო დროს სულ აჰკვეთა ამ აივანზე სეირნობა და ათასში ერთხელ თუ გავიდოდა. ვატყობდი, მგოსანი რაღაც არა სასიამოვნო მომავლის მოლოდინში იყო, მაგრამ თქმით არას ამბობდა. ერთხელ მკითხ, იარაღი გაქვსო. და როცა ვუპასუხე, არა მეთქი, ჩაიცინა, ხუმრობით სთქვა, განა შენ სანდირო იარაღი არ უნდა გქონდესო, და მაუზერის რევოლვერი გადმომცა. თუმცა მგოსანს არა უთქვამს-რა ჩემთვის, მაგრამ ვატყობდი, რომ რაღაც იცოდა. აგვისტოს ბოლო რიცხვებში, ილიას ტფილისში გამგზავრებამდე, მოურავმა აცნობა, რომ მოსამსახურენი გაიფიცნენ და შიმშილი გამოაცხადეს ხორცის უვარგისობისა გამოო. ილია გაჯავრდა და მოურავს გამოუცხადა, ყველა უკმაყოფილო დაითხოვეო. როცა გამოირკვა, რომ ხორცი ძალიან კარგი იყო და მოსამსახურენი მხოლოდ ჩიოდნენ, რომ ცოტა გვეძლევაო, ილიამ აპატივა ყველას და, მათ შორის, ლაბაურსაც. ილიას ტფილისში წასვლამდე ლაპარაკი ჩამოვარდა მოსამსახურეებზე და მოურავზე, დიმიტრი ჯაშზე. მაშინ მოკლულმა იაკობ ბითარაშვილმა მითხრა, როცა ტფილისიდან დავბრუნდები, ყველაფერს მოგახსენებთ; აგიხსნით, რომ აქ არავინ დასაყენებელი არ არისო.

**დიმიტრი ჯაში.** 30 აგვისტოს დილის 11 ნახ. საათი იქნებოდა, ორი სტრაჟნიკი გავიყოლე და სოფ. წიწამურაში წავედი ლალის ასაღებად. ჩვენთან ერთად წამოვიდა ურიადნიკი ემსი, რომელიც მცხეთაში მიდიოდა. როცა ორიოდე ვერსი გავიარეთ, ბუჩქებიდან ტირილით გამოვიდა მეეტლე თედო ლაბაური და დაიძახა: „ქრისტიანი ხალხი არა ხართ, მოურავს შეატყობინეთ, ჭავჭავაძე მოკლესო", და გაიქცა. მე უპასუხე: რას გადაირიე, თედო! განა მე ვერა მცნობ, გვითხარი, რაშია საქმე-მეთქი. მან სთქვა: თავს დაგვეცნენ ოფიცრის პაგონებიან კიტელებში გამოწყობილნი და თოფებით შეიარაღებულნი; მე დამარტყეს თოფის კონდახი, ეტლის კოფოდან გადმომაგდეს და ცხენები ხელში დამაჭერინესო. ვხედავდი, როგორ მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე, [illegible] გორ სცემეს კნეინასაო. როცა შევეკითხე ლაბაურს, ტყეში რა გინდოდა მეთქი, მიპასუხა, საჭიროებისათვის გადაუხვიეო. როცა ლაბაურს გაუსინჯეთ ვითომ დარტყმული ადგილი, იქ არავითარი ნიშანი არ აღმოაჩნდა. შემდეგ დახოცილები ურემზე დაუდეთ და წავასვენეთ საგურამოში, ხოლო ძალზე ნაცემი კნეინა ეტლში ჩავისვი და წავიყვანე. მოძღვრიშვილი ერთად-ერთი კეთილ-სინიდისიერი მოსამსახურე იყო. როცა განსვენებულ ილიას ვთხოვე, მოძღვრიშვილს ჯამაგირი მიუმატოთ მეთქი, მითხრა, მოსეს დადგენილებას ვერ დავარღვევ და ჩემის მხრით ერთი დესტინა მიჩუქნიაო. ჩუქების ბარათი თითონ მე დაუწერე მოძღვრიშვილს.

**ბოქაული სტ. გრიციუნასი.** მოწმემ, სხვათა შორის, სთქვა: მესამე დღეს გამოვკითხე ლაბაურს საქმის ვითარება და გაუსინჯე ვითომდა ნაცემი ადგილი, მაგრამ არავითარი ნიშანი არ აღმოაჩნდა.

**მღ. ალექ. ჯალიაშვილი.** 30 აგვისტოს სახლობა მომყავდა ტფილისში წინ შემოგვხვდა ილია ჭავჭავაძის ეტლი, რომელიც წიწამურს იქით ღელეში შეეჩერებინათ. როცა გავცდით და ცოტა გზა გავიარეთ, გავიგონეთ თოფის სროლა. მცხეთის პირდაპირ დუქნებთან შევჩერდით და იქ შევიტყეთ განსვენებულ ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი. აქ ერთი გლეხი წამოგვეწია, გვითხრა, ილია მოჰკლესო და დაიწყო ქვითინი. აქვე მგზავრისაგან გავიგე, რომ მას ჩამოვლის დროს რაღაც საეჭვო სტვენა გაეგონა იმ ადგილს ცოტა იქით, სადაც მკვლელობა მოხდა.

**თავ. ყარ. ფალავა.** როცა თავმჯდომარემ ჰკითხა, რაიცით ამ საქმის შესახებაო, მან სთქვა, ამ საქმის შესახებ დიდი მასალაა შეკრებილი და არ ვიცი, რაზე მოგახსენოთო. საჭიროდ სცნეს მისი ჩვენების წაკითხვა გამომძიებელთან. როგორც თავ. ფალავას გამომძიებელთან უჩვენებია, ლაბაურის დაპატიმრების შემდეგ იგი ჩამოსულა ტფილისში და გამომძიებლის ნებართვით მისულა მეტეხის ციხეში ლაბაურის გამოსაკითხავად. მეეტლე თედო ლაბაური გამოსტეხია, რომ მან იცნო მკვლელთაგან რამდენიმე კაცი. ესენი არიან: ნამამასახლისარი ვანო ინაშვილი, ბერბიჭაშვილი, პავლე ფშავლიშვილი და მოსამსახურე გოგოლა მოძღვრიშვილი. ლაბაურს უთქვამს: მკვლელები დამემუქრნენ, არ გაგვამხილო, თორემ [illegible] ამოგხოცავთო. თავ. ფალავას უჩვენებია აგრეთვე გამომძიებლისთვის, რომ ბოროტმოქმედება შესრულებულია მოურავის დიმიტრი ჯაშის ორგანიზაციით. ამაში, გარდა სანდო აგენტებისა, დამარწმუნა ზოგიერთა გარეშე პატივცემულმა პირმაო. მოწმემ სასამართლოშიაც გაიმეორა თავისი წინანდელი ჩვენება და, სხვათა შორის, სთქვა: როცა ჯაშის შესახებ გარეშეებმა მითხრეს, ეგეც უნდა ერიოს საქმეშიო, ისიც დაუმატეს, რომ ოფიციალურად ამას ვერ დავამტკიცებთ და ჩვენ ნუ გაგვამხელთო. იმ ცნობით, რაც მე

## ფელეტონი

* * *

სასტიკ ბრძოლითა გული წუხდება
და მწარე ფიქრით სული ლონდება!
ირგვლივ სიკვდილი გამეფებულა,
გრძნობა ნაღველში ამოვლებულა!..
მებრძოლთა კვნესა ყველას აძრწუნებს...
მათ წმინდა სახელს ვინღა ახსენებს?!

—

ნუ თუ არ კმარა ამდენი სისხლი
და მუდამ ბრძოლა დაუდგრომელი?
აგერ ბუნებას კვლავ ჰბურავს ნისლი...—
როდის გათენდეს ბნელი სოფელი?!

—

ხან ზეცა მკრთალად გამოიდარებს
და წუთიერად სულდგმულთ ახარებს.
ამოდის მთვარე, ჩნდება ვარსკვლავი,
მიდის და მოდის ხალხთ ნათესავი!
ხანა თენდება და ხან ღამდება
და ასე მიჰქრის ჩვენი ცხოვრება!
მაგრამ რა არის ჩვენი მიზანი,
რისთვისა ცოცხლობს ადამიანი?!

**ა. შანშიაშვილი.**

## ზამთრის ღამე

I

ღამემ ბინდი ჰკრა და ქარიშხალმა
თოვლ-შერეულმა გაშალა ფრთები,
გამოილაშქრა და საბრძოლველად
გამოიწვია ბარი და მთები.
ხევში ჩავარდა, ჩაიშხუილა,
პირი დასტაცა თოვლისა გროვას,
მაღლა წაიღო და გაბრაზებით
გადააფრქვია მთასა და გორას.
დაიყივლა... ძლიერი ფრთები
შევარდენივით აკვეთა ბარსა,
დაულა წაიღო... და იერიშით
სოფელს წაადგა მრისხანედ თავსა:
ბუხრებში ჩახტა, ცეცხლს დაეტაკა,
ალი შეულაპა, ახრჩოლა შეშა,
ქოხში შეუყეულთ კვამლი ასუნთქა,
გულ-ღვიძლი ყიწვით ამოუშეშა.
თვითეულს ქოსა დარაჯად ედგა
თოვლის ზვინების და ბურის სახით,
კარში გამომსვლელს ემუქრებოდა-
ყინულით ქსოვილ ლურჯი მათრახით.
ხან-ხანობით-კი გარინდებული
ქოხში მყოფ ხალხის ისმენდა გმინვას;
რა დასტკბებოდა თავს-ბრუ დამხვევად
კვლავ აჰყვებოდა მკაცრსა გულისთქმას:
გრგვინვა გაჰქონდა, ზეცას არყევდა,
აზანზარებდა მიწის საფუძველს,
სოფლის ქოხმახებს მძლავრ ტალღებს სცემდა,
თოვლით უქოლდა ბანსა და კარებს...

II

ულრანის ტყიდან ქარიშხლის ტალღებს
სოფლად ხმა მოაქვს მგლის სიმღერისა...
ის თითქო მავნეთ იხმობს, ანიშნებს:
„დროა თქვენიო ამხედრებისა".
თითქო ჯოჯოხეთს კარი გაუღო,
ჰაერს მოედვა მავნეთ ლაშქარი,
მათს კბილთ-ღრჭენაზედ, ბოროტ ხითხითზედ
გმინავენ მთები, ატირდა ბარი.
გრიგალს მიჰყუდეს ქომაგი ზურგი,
ყინულის ლოდებს სოფელს ესვრიან,
ქოხთა-დარანთა, ბან-ჭერ ბუხრიდან
ქარიშხლის ტყვეებს დაჰპტერებიან:
უთვალ-თვალებენ, თუ რომელს მათგანს
გულში ჩაუკვდა ხსნის იმედ-რწმენა,
დუხ-ჭირობის ქვეშ უფლი დაჰგმო,
პირი იბრუნა ეშმაკისკენა...
უთვალ-თვალებენ... და კვლავ უჩინრად
ეხუნძლებიან მეომარ გრიგალს,
ჟივილ-კივილით, ველურ თარეშით
უორკეცებენ შემზარავს გრიალს...
ბოროტ-ძალების უძლეველ ობას
ჰაერში გაჰქუხს სატანის ქნარი...
სიცოცხლე ჰქრება, სიკვდილი ჩნდება,
ყინვა სისინებს, მძლავრდება ქარი.
სევდა ჰლალაობს სოფლის ქოხმახებს,
შიგნიდან ისმის გლოვისა ზარი...
ადამიანთა აღარ ჰგონიათ,
თუ გათენდება, მოტყდება ქარი!..

III

ბნელს საქათმეში, გაყინულს ჰაერს
ფრთები შემოჰკრა ქათმების გმირმა,
მით ტანს იმსხვრია ლურჯი ჩაჩქანი,
ყინვამ რო მახეთ გადააჯიბა.
მკერდი გაშალა და მედიდურად
წამოიყვირა: „გათენდებაო".
ეს ხმა გავარდა ღამის წყვდიადში—
თითქო მეხი სჭექს, ელვა ჰკრთებაო.
შედეგად განხდა ხმა საყვირისა:
„ეშმაკნო, ერთად შემოკრბენითა,
აღმოსავლეთით მტერი რომ მოსჩანს,
თავსა ვუშველოთ უკუ-რბენითა".
მაღლა ჰაერში უცბ და მოთავსდა
ბნელი ძალების დიდი კრებული
და საშიშ მხრისკენ იცქირებოდა
ჰმუნვისა ალში ატირებული.
მოსჩანდა, როგორ შორს, ცის სიღრმიდან
ცეცხლის ბორბალი აგორებული,
დედა-მიწისკენ მოისწრაფოდა,
ვით ლომი ომად გამზადებული.
ყინვას სთუთქამდა, ჯანღს გვერდი ჰკვეთდა,
მობრიალებდა აზართებული,
თავის სიმძაბრეს ჰკარგავდა ქარი,
იმის სხივებზედ ადუღებული.
უბრმავდებოდათ თვალები მავნეთ,
—დამურას თვალს სჭრის ნათელი მზისა,—
ძირსა ცვიოდნენ და ჯოჯოხეთის
მკერდის ალმურში ანთხევდნენ ტვინსა...

IV

დილა გათენდა და ბრწყინვალე მზე
ალერსს უწევდა ნაწამებ მთებსა,
თავზედ ადგავდა სპეტაკ გვირგვინებს
ოქროს სხივებით განაკეთებსა.
სიხარულისა ცრემლებს აცრევდნენ
დალარულ მკერდით დიადი მთები,
გულსა ეფონათ, მრისხანე გრიგალს
მზემ-რო მოულხო ყინულის ფრთები.
გადაილუპა ლურჯ-ცქვიტი ყინვა,
როს დაინახა სხივები მზისა,
თეთრად შესუდრულ—დაშარტულ გულით
ბარსა აღმოჰხდა გმინვა შვებისა.
და სოფლელებიც გახარებულნი
ქოხების ირგვლივ დაფუსფუსებდნენ,
ყინულსა და თოვლს ბარით, ნიჩბებით,
ყიჟინის ცემით ქუჩაში ჰყრიდნენ...
მზე იმათ შორის დაპარპაშებდა,
იმის თბილს სხივებს მკერდსა უშვერდნენ;
პირსა ჰკოცნიდნენ, შუქ-მრფქვევს, ერთმანერს
და ტყვეობით ხსნას მზეს უმადლიდნენ...
ქარი კვლავ ჰქროდა მაგრამ დინჯად-და,
ყინვა არ სჩანდა, თოვლი დნებოდა,
და უნებლივ მზის სხივებს ქარი
თოვლის დნობაში ეშველებოდა.

**ბერშუელი.**

## იმედის ქარი

მწვანით მოქარგულ საამურ წალკოტს
შავი წყვდიადი შემოჰხვეოდა,
ცა დაბურვილი სჭექდა, გრგვინავდა,
ტყე ზანზარებდა, და ირხეოდა.

—

ზღვა მრისხანე და აღქაფებული
დაჭრილ მხეცივით კვნესდა, ჰკიოდა,
ტალღა ტალღასა ეხეთქებოდა,
ღრიალით ნაპირს გადადიოდა.

—

ჯურღმული სდუღდა, გრიგალი ჰქუხდა,
სმენას სწამლავდა ხმა გულ-საზარი;
ქვეყნად სიცოცხლე შეწყვეტილიყო,
არსად სჩანდა გემი და მგზავრი.

—

სულ ყველაფერი მოეცო ჰმუნვას,
ბუნება ძრწოდა და მტარვალობდა,
მხეცნი ბუნაგებს შეჰფარებოდნენ,
ფრინველთა გუნდი აღარ გალობდა...

—

ვიჯექი მარტოდ მაშვრალი მინდვრად,
დამარცხებული გული ჰბოლავდა,
შურისძიების ცრემლი მდიოდა...
მაგრამ ბუნება ისევ სრბოლავდა.

—

უცებ იმედის ქარმა დაჰქროლა,
„ამდენი ტანჯვა", სთქვა, „აწ არ კმარა?.."
ფიცხლავ გაჰფანტა ღრუბელთა გროვა,
ისევ გამოჩნდა ცისა კამარა...

—

მზემ შუქი სტყორცნა ტანჯულ ქვეყანას,
ჯანყი მოშორდა წალკოტს მკრთოლვარეს,
მხეცნი გამოძვრნენ ბუნაგებიდან,
ფრინველთ ჰიკჰიკი მოესმა არეს...

—

გაჰქრა მოწყენა, გამეფდა ლხინი,
ზღვაც აღარ იყო კვალად მღელვარე,
სიცოცხლე ისევ შეიქნა ტკბილი;
თვალებს შეაშრა ცრემლი მდუღარე...
შორს კაეშანი, ფიქრებო დარდის,
იმედის ქარო დაჰბერე კვლავად,
გაჰფანტე შორით წყვდიადი ღამის
და მომივლინე სინათლე მარად...

—

მაშინ იმედით გამარჯვებისა
შევებრძოლები მჩაგვრელ ძალებსა,
გმირი გმირობის მსხვერპლი გავხდები
და არ დაუთმობ გზას მტარვალებსა.

**ი. წუწუნავა**

მოვიპოვე, დარწმუნებული ვარ ჩემი ჩვენების სიმართლეში.

**ვექილი ლიპზიოვი.** ეგებ თქვენ პირები გაიგონეთ და უეჭველ საბუთიდ-კი მიიღეთ?

**თავ. ფალავა.** ყველაფერი მე სანდო პირებისაგან მაქვს გაგებული. კარგად მახსოვს, ლაბაურმა საპატიმროში მითხრა, რომ ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობა მიიღეს მისმა კარგმა ნაცნობებმა ინაშვილმა, ბერბიჭაშვილმა, ფშაველიშვილმა და მოძღვრიშვილმა.

თავმჯდომარის წინადადებით ფალავას ჩვენება ბრალდებულთ გადაუთარგმნეს და ჰკითხეს, რას იტყვით ამაზეო.

**ბრალდებულმა ლაბაურმა** განაცხადა: მე მოძღვრიშვილის შესახებ არაფერი მითქვამს; მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. თავდასხმის დროს მე იგი არ მინახავს და როგორ დავიდო მაგისი ცოდვა, ტყუილი როგორ მოვახვიო კისერზეო.

**ბრალდებულმა მოძღვრიშვილმა** გაიმეორა თავისი ჩვენება, რომ იგი 29 აგვისტოს თავის ძმას გაჰყვა სოფ. ბიწმენდში ნიშნობაზე და როცა 30 აგვისტოს საღამოთი დაბრუნდა, გზაზე გაიგო ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი.

**მეფუტკრე მახლოვი.** 29 აგვისტოს მოძღვრიშვილი დაეთხოვა მოურავს ჯაშს ბიწმენდში ძმის ნიშნობაში წასასვლელად. დაბრუნდა იგი 30 აგვისტოს საღამოთი და როცა ვკითხეთ, სად იყავიო, ბიწმენდში ვიყავი, დავითვერი და ამიტომ დამიგვიანდაო. ბატონის მოკვლის ამბავი გზაში მწყემსებმა მითხრესო.

**ბოქაული მარკევიჩი.** მე დავალებული მქონდა, დამეპატიმრებინა ივ. ინაშვილი, ბერბიჭაშვილი, ფშაველიშვილი და სხვანი. შევიტყე, რომ ეს საქმე უნდა სცოდნოდა წიწამურის მცხოვრებს, პავლე ფშაველიშვილის ნათესავს, გიორგი [illegible] შვილს. ხიზანაშვილი დავაპატიმრე და როცა გამოვკითხე, მიამბო შემდეგი: 29 დეკემბერს საღამოთი წიწამურში მოვიდნენ ივანე ინაშვილი, პავლე ფშაველიშვილი, ბერბიჭაშვილი და ერთი იმერელი, რომლის ვინაობა არ ვიცი. ამათ მითხრეს, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტმა გადასწყვიტა თავ. ილია ჭავჭავაძის მოკვლა, რადგან იგი გლეხებს აწუხებს; ამ საქმის შესრულება ჩვენ გვაქვს დავალებული და უნდა შენც წამოგვყვე და დაგვეხმაროო. მე უარი განვუცხადე, მაგრამ მოკვლას დამემუქრნენ და მაიძულეს წავყოლოდი. იმ ღამეს დარჩნენ ჩემთან, წიწამურში. მეორე დღეს გათენებისას (30 აგვისტოს) წავედით ტყეში. იქ ინაშვილმა მე და ფშაველიშვილი მაღლობზე დაგვაყენა და გვითხრა, თვალ-ყური ადევნეთ და როცა შენიშნოთ ეტლით მომავალნი, დაუსტვინეთო. როდესაც ეტლი გამოჩნდა, ფშაველიშვილმა დაუსტვინა. როცა ეტლი მიუახლოვდა ჩასაფრებულებს, ლაბაურმა ეტლი გააჩერა, ბერბიჭაშვილი, ინაშვილი და იმერელი ჩაცვივდნენ ძირს, დაახალეს თოფები და მოჰკლეს თავ. ჭავჭავაძე. ბერბიჭაშვილმა რამდენჯერმე თოფის კონდახი ჩაჰკრა კნეინას. გამოუდგნენ ბიჭსაც, ტყეში მოეწივნენ და მოჰკლეს. მე ტყეში ვიდექი, მათთან არ ჩავსულვარ. შემდეგ ამოიტანეს ნივთები და პატარა ჩემოდანი და ნივთები გაიყვეს. მახსოვს, მოიტანეს გატეხილი ოქროს სათვალე. ერთმა სთქვა, ეს მე მომეცით, ჩემ დას საყურეს გაუკეთებო. ამის შემდეგ მე წავედი. დამემუქრნენ, ცოლ-შვილიანა ამოგხოცავთ, თუ ეგ ამბავი გაგიმხელია სადმეო.

**ბრალდებული ხიზანაშვილი.** როცა მოწმის ჩვენება გადაუთარგმნეს, ხიზანაშვილმა სთქვა: მე მაგებს ბოქაულს როგორ ვეტყოდი, როცა დარაჯებისაგან ისე ვიყავი ნაცემი, რომ გრძნობა აღარა მქონდა. მე იმ დღეს ტყეში ვიყავ, ნახშირსა ვწვამდი და არ მინახავს არც ფშაველიშვილი, არც ინაშვილი და არც სხვა ვინმე.

როცა ბოქაულს ხიზანაშვილისათვის ჩვენება ჩამოურთმევია, დასწრებიან მცხეთის მცხოვრებნი გარსევანიშვილი, იმერლიშვილი და რამდენიმე დარაჯი.

**გარსევანიშვილი.** ბოქაულთან მწერლად ვიყავი და კარგად მახსოვს ხიზანაშვილის გამოკითხვის ამბავი. ინაშვილს ცემისა არა ეტყობოდა რა; არც არავის ძალა უხმარია მაგაზეო. შემდეგ ამ მოწმემ გაიმეორა ის, რაც ბოქაულმა მარკევიჩმა სთქვა.

ესევე ჩვენეს მოწმეებმა იმერლიშვილმა და დარაჯმა ალექ. ანატოლიევმა. როგორც მარკევიჩმა და გარსევანიშვილმა, ისე ამ მოწმეებმა განაცხადეს სასამართლოში, რომ ხიზანაშვილი არ იყო ნაცემი და ძალდაუტანებლად ამბობდა იმას, რაც მოგახსენეთო.

ვექილის შეკითხვაზე, ბრალ. ხიზანაშვილმა განაცხადა იმერლიშვილზე, რომ ის მუშა კაცია, ვიცნობ და მას ჩემთან უსიამოვნობა არა ჰქონია რაო.

28 ნოემბერს საქმის გამოძიება შესწყდა საღამოს 6 საათზე და 29 ნოემბერს კვლავ განახლდა.

გამოჰკითხეს მოწმეებს ვანო უნდილაშვილს, ნიკოლა შერმადინს, ვანო ედიშერაშვილს და ქიტო კაკულაშვილს. ამ მოწმეებმა სთქვეს, რომ გიგოლა მოძღვრიშვილი ძმის ნიშნობაში ამოვიდა სოფ. მიწმენდში და იქ ორი დღე დაჰყო. ნიშნობა აღარ მოხდა, რადგან ქალის პატრონმა შემოუთვალათ, დრო არა მაქვსო. თოფი არა ჰქონია მოძღვრიშვილს.

**მიხეილ გელიშვილი.** ორი კაცი გამოეგზავნა მოძღვრიშვილს ჩემთან ჩემის დის დასანიშნად. მამა ჩემი შინ არ იყო, მე უიმისოდ არ შემეძლო საქმის გარიგება და უარი [illegible] გიგოლა მოძღვრიშვილი არ მინახავს და შეიძლება იმ დუქანში დარჩა, საიდანაც მე კაცები გამომიგზავნეს.

**გიორგი ქუდაშვილი** (წიწამურელი გლეხი). ხიზანაშვილს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს გუთანი ჰყავდა შებმული. გიორგი ხიზანაშვილი საღამოთი ვნახე. ტყიდან ურმით ახლად დამწვარი ნახშირი მოჰქონდა. დილით კი არ მინახავს.

ამის შემდეგ სასამართლომ გამოაქვეყნა იმ მოწმეთა ჩვენება გამომძიებელთან, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზისა გამო სასამართლოში ვერ გამოცხადდნენ.

**კნ. ოლგა ჭავჭავაძისას** გამომძიებელთან უჩვენებია, რა ნივთები წაუღია თან ტფილისიდან საგურამოში. სხვათა შორის, ჩემოდანში წერილები ჰქონია. იქ იყო ერთი წერილი ილიასი, რომელიც მწერდა: ჯაში მეტყულე და არა კეთილსინდისიერი კაცი აღმოჩნდა. როგორც ჩამოვალ სამსახურიდან, უნდა დავითხოვო და სხვა ვინმე კეთილსაიმედო კაცი მოვნახოო. დაჭრის შემდეგო, განუცხადებია კნ. ჭავჭავაძისას გამომძიებლისათვის, მახსოვს, ეტლით საგურამოსაკენ მივყავდი ერთ კაცს. მე ისე მეჩვენა, თითქო ეს კაცი ერთ თავდამცემთაგანს ჰგავდა. საშინელ სიძულვილს ვგრძნობდი ამ კაცისადმი და ყოველ ღონეს ვხმარობდი თავი გამენთავისუფლებინა იმის ხელისაგან.

**ურიადნიკ ემეცს** გამომძიებელთან უჩვენებია შემდეგი: 30 აგვისტოს მე და ორი სტრაჟნიკი წამოვედით თავ. ილია ჭავჭავაძის სახლიდან. კარგა მანძილი რომ გავიარეთ, დაგვეწია მოურავი დიმიტრი ჯაში. მან რამდენჯერმე გვითხრა, საცაა ილიას ეტლი გამოჩნდება, დღეს ტფილისიდან მოველითო. ჯაშის მოქმედებაში ვერაფერი საეჭვო ვერა ვნახე. როცა მიუახლოვდით ეტლს, ჩირგვნარიდან გამოვიდა ლაბაური და ტირილით გვიამბო, თავდასხმის ამბავი. მისი ტირილი მაშინ ნაძალადევად მეჩვენა. როცა მივედით და ვნახეთ მოკლული ილია ჭავჭავაძე და სულთმობრძავი კნეინა, ჯაშმა სთქვა: მადლობა ღმერთს, ესეც მოუკლავთო. ეს სიტყვები დამახსოვდა და დღემდე ვერ ამიხსნია, რა აზრით იყო ნათქვამი.

დამამტკიცებელ საბუთებიდან მოძღვრიშვილს უჩვენეს დასისხლიანებული თოფი. თოფი მოძღვრიშვილმა თავისად იცნო.

29 ნოემბერს დღის 12 საათზე საქმის გამოძიება დასრულდა.

**ბრალმდებელმა** კარგა ხანს ილაპარაკა. მან სთქვა—ბ-ნო მსაჯულნო, როგორც მოგეხსენებათ, ვინმე უბრალო კაცი არ მოუკლავთ ბოროტმოქმედებს და არც ჩვეულებრივი მკვლელობაა განსვენებულ მგოსნის ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საქართველოს მოუკლეს საუკეთესო მამულიშვილი, მგოსანი და საზოგადო მოღვაწე, ხოლო სახელმწიფოს—დიდად გამოსადეგი, დიდი ნიჭის პატრონი კაცი. აქ, როგორც ეტყობა, პოლიტიკური ჯგუფი უნდა მოქმედებდეს და მისი შთაგონებით და ორგანიზაციით უნდა იყოს ეს მკვლელობა ჩადენილი. სოფლელნი ამ საქმეს ვერ ჩაიდენდნენ, რადგან მათ არც საბაბ ჰქონდათ ამისა. ლაბაურს, როგორც გამოირკვა, გამცემლის როლი უთამაშნია. თუ ასე არ იყო, თავიდანვე რად აურია ჩვენება და ტყუილები რად უთხრა გამომძიებელს? მართალი სთქვა მხოლოდ მაშინ, როცა თითონ საშიშ მდგომარეობაში ჩავარდა. იფიქრა, ეგებ ამით მაინც გავინთავისუფლო თავიო. თუ მას ამ საქმეში რაიმე სიმართლე მიუძღოდა არავითარ მუქარას არ უნდა შეშინებოდა და პირველიდანვე უნდა ეჩვენებინა მკვლელობის მონაწილენი და არა შემდეგ. ამგვარადვე მტკიცდება დანარჩენ ბრალდებულთა მონაწილეობა ამ საქმეში. ეს საქმე, საზოგადოდ, ბნელით არის მოცული. ნათლად სჩანს, რომ მკვლელობის ინიციატივა ამათ არ ეკუთვნით. ესენი მხოლოდ დამხმარენი არიან. ამ საქმეში ვიღაცას მოხერხებული და შეგნებული ხელი მოქმედებდა. განსვენებულ ჭავჭავაძის მოურავი პასუხის-გებაში არ არის მიცემული, მაგრამ შეიძლება ისიც ერიოს ამ ბოროტ-მოქმედებაში და მასაც მიეღოს მონაწილეობა ამ საქმის შემსრულებელ ორგანიზაციაში. მართალია, ბრალდებულთ საშინელი სასჯელი მოელით, მაგრამ თქვენ მიერ გადაწყვეტილი სასჯელი სამართლიანი იქნება.

სასამართლოს მიერ დანიშნულმა ბრალდებულთა დამცველმა ლიუბიმოვმა დიდ ხანს ილაპარაკა. მან, სხვათა შორის, სთქვა, რომ კავკასიაში, როგორც გამიგონია, პოლიციელები დამნაშავეებს შეჰქმნიან ხოლმე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასე მოხდა ამ შემთხვევაშიაც. საქმე ძალიან რთულია, და შეკრებილი მასალა უტყუარ ცნობებს ვერ გვაძლევს ბრალდებულთა დანაშაულობის დასამტკიცებლად. მათ დიდი სასჯელი მოელით და სასამართლომ დიდის სიფრთხილით უნდა აწონოს ფაქტიური მასალა, რომ უდანაშაულონი არ დაისაჯნენ. მართალია, ლაბაურმა თავიდანვე არ გაამხილა ის, რაც იცოდა, მაგრამ ეს მუქარით აიხსნება. ამიტომ იგი თანაგრძნობის ღირსია. მოძღვრიშვილის თოფი მართალია სისხლიანია, მაგრამ ექსპერტიზას არ შეუმოწმებია,—ადამიანის სისხლია იგი თუ ნანადირევისა. გარდა ამისა, ტყვია არ უდგება მოძღვრიშვილის თოფსაო. ვექილმა სასამართლოს სთხოვა გამართლება ბრალდებულთა.

უკანასკნელ სიტყვაში ბრალდებულთ განაცხადეს, დამნაშავენი არავართ და გაგვანთავისუფლეთო. თანდო ლაბაურმა ისიც დაუმატა, მოძღვრიშვილის შესახებ მე არა მითქვამს რა, იგი არ მინახავს თავდასხმის დროს და იმის ცოდოში ნუ ჩამაყენებთო.

სასამართლომ განაჩენი გამოაცხადა ნაშუადღევს 3 საათზე, და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრალდებულთ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **გრიგოლ რცხილაძის საქმე.** გუშინ, 1 დეკემბერს, სამოსამართლო პალატამ მესამედ განიხილა საქმე „მეგობრის" რედაქტორ-გამომცემლის გრიგოლ რცხილაძისა. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, პირველად რცხილაძე გაამართლეს, მეორედ გადაუწყვიტეს ერთი თვით დაპატიმრება ან ათი თუმანი ჯარიმა. არც ერთხელ სენატმა არ დაამტკიცა განაჩენი. ეხლა, მესამედ, რცხილაძეს მიუსაჯეს ერთი წლით დაპატიმრება.

✦ **რევიზია.** წინად გაზეთები სწერდნენ, რომ კავკასიაში რევიზორი იგზავნებაო. ეხლა ბაქოს გაზეთებს აცნობინებენ, რომ რევიზია აღარ ინიშნებაო.

✦ **დიდი თოვლი.** როგორც გვატყობინებენ, ქართლში დიდი თოვლი მოსულა და ბევრგან ხალხი დაზარალებულა. სოფელ შინდისში, მაგალითად, თოვლს დაუნგრევია პაპუნაშვილისა, მუჭაურისა, თვალიაშვილისა, იმერლიშვილისა, კანუხაშვილის სახლები და პ. გარსევანიშვილისა და ბერძნიშვილის საბძლები.

✦ **სამეურნეო გაზეთი.** ხვალ, 3 დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ, კავკ. სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდება კრება ქართველთა ერთი ჯგუფისა, რომელმაც უნდა განიხილოს მოხსენება კვირეულ ქართულ სამეურნეო გაზეთის გამოცემის შესახებ.

✦ **„ნოვოროსისკის რესპუბლიკა".** 24 ნოემბერს ნოვოროსისკში დაიწყო განხილვა ამ „რესპუბლიკის" საქმისა. როგორც ვწერდით, სამართალში მიცემულია 106 კაცი. ამათ ჰბრალდებათ შეიარაღებული აჯანყება იმ აზრით, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა დაერსებინათ. სამ ბრალდებულისთვის სხვა საქმეების გამო უკვე გადაუწყვეტიათ სასჯელი. ესენი არიან: გრეჩკინი, რომელსაც სოჩის საქმის გამო ათი წლის კატორღა გადაუწყვიტეს, ზვარიჩი—გადაუწყვიტეს 6 წლის კატორღა არმავირში მაქსიმალისტთა მფრინავ რაზმის მოწყობისთვის, და უკრაინსკი—გადაუწყვიტეს 12 წლის კატორღა ყუბანის ოლქში ფოსტის გაძარცვისათვის. ბრალდებულთაგან შვიდი კაცი საზღვარ-გარედ წასულა. დამცველებად არიან: ალექსანდროვი, სოკოლოვი, კარაბჩევსკი, ხომენტოვსკი, ტარუტინი და სხვები. მიწვეული იყო აგრეთვე ანდრონიკაშვილი, მაგრამ იგი ირკუტსკშია, სადაც ერთი დიდი საქმე ირჩევა, და ამიტომ ვერ ჩამოვიდა.

✦ **დაპატიმრება.** შაბათს, 29 ნოემბერს, ვერის აუდიტორიაში წარმოადგინეს „ორი დარაჯი" და აკაკის „ბუტიაობა". წარმოდგენაში სცენის მოყვარენი იღებდნენ მონაწილეობას. წარმოდგენის გათავების შემდეგ თეატრს ალყა შემოარტყეს და ვინც კი იქ იყო, მაყურებელი თუ მოთამაშე, ყველა დააპატიმრეს და მათ შორის აკაკი წერეთელიც, რომელიც წარმოდგენაზე ყოფილიყო, მაგრამ ვინაობის გამოკითხვის შემდეგ აკაკი განთავისუფლეს. დანარჩენები, ასე 150 კაცამდე, გუშინ, 30 ნოემბერს, 12 საათამდე გაანთავისუფლეს.

✦ **დირექტორისა და ინსპექტორის წასვლა.** 29 ნოემბერს მოხდა სხდომა ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიის მშობელთა წრის საბჭოსი. გიმნაზიას თავს ანებებენ დირექტორი ი. ე. გამყრელიძე და ინსპექტორი ა. საფაროვი. საბჭომ გაითვალისწინა დირექტორისა და ინსპექტორის ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა და დაადგინა, სთხოვოს დირექტორსა და ინსპექტორს, დარჩნენ გიმნაზიაში. საბჭომ 30 ნოემბერს კიდეც ინახულა გიმნაზიის დირექტორი, რომელმაც, მოისმინა რა საბჭოს დადგენილება, მადლობა გადაუხადა ზნეობრივ გამხნევება-თანაგრძნობისათვის და სთქვა, ვეცდები მეცა და ინსპექტორიც ამ სასწავლო წლის ბოლომდე დავრჩეთო.

✦ **მკვლელობა.** 30 ნოემბერს პატარა ვანქის ქუჩაზე უცნობებმა რევოლვერით მოჰკლეს ყაზახის მაზრის მცხოვრები ვასილ ოგანოვი. მკვლელნი მიიმალნენ.

✦ **ჯარიმის შემცირება.** „ხათაბალა"-ს რედაქტორს 3000 მანეთი ჯარიმა ჰქონდა შეწერილი. გუბერნატორის განკარგულებით, ჯარიმა შეუმცირეს 24 მანეთით ან ოთხი დღის დაპატიმრებით.

✦ **მოსწავლის დაჭრა.** 29 ნოემბერს, დილის ასე 11 საათზე, სომეხთა ნერსესიან სემინარიის მე-5 კლასის მოსწავლე ავეტიქ შატირიანი მიმავლებულა აბას-აბათის მოედანზე მოლინის ქუჩის შესახვევში მივარდნია ოთხი უცნობი და ფინური დანით დაუჭრია მარცხენა გვერდსა და მუცელში, შემდეგ უცნობნი მიმალულან. პოლიციის ცნობებით, შატირიანცის დამჭრელნი ყოფილან ბორჩალოს მაზრის მცხოვრები ალექსანდრე ავეტისიანცი, ახალქალაქის მოქალაქე ხორენ არუთინიანცი და ტფ. მოქალაქე ენოქ ტერ-მიკირტიჩიანცი. სამივე დააპატიმრეს და კიდეც გამოტეხილან დანაშაულში. შატირიანცი შურისძიებით დაუჭრიათ.

✦ **ტფ. გენერ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ტფ. მცხოვრები მიხეილ გახეკიძე და ხოჯაია დაჯარიმებულ იქმნენ თითო თუმნით (თუ ვერ გადაიხადოს, სამ-სამი დღით იქნებიან დაპატიმრებულნი), ოჰანეზ ოგანჯანოვი დააჯარიმეს 15 მან., ტელემაკ ტერმოსეზოვი და ავეტიქ აზიანცი—თითო მანეთით.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ, „დროების" საშუალებით მადლობა გამოუცხადო დიმიტრი კაკაბაძის ძე მგელაძეს, რომელმაც აკეთისორკლასიან სკოლის ღარიბ მოწაფეებს უფასოდ დაურიგა 38 ცალი რვეული და ათი ცალი კალმის ტარი. კ. ჭეიშვილი".

✦ 30 ნოემბერს, ნაშუადღევს სამს საათზე, გრიგოლ სარუხანოვმა პოლიციას გამოუცხადა: 29 ნოემბერს, შუაღამისას, როცა ყაგიზმანის ქუჩაზე მოვდიოდი, უცნობმა რევოლვერი მესროლა და ხელში დამჭრაო. გამორკვეულა, რომ 29 ნოემბერს, საღამოს 10 საათზედ, სარუხანოვი ძალზე მთვრალი ყოფილა და შესულა ლაზარევის ქუჩაზე მარქაროვის სარდაფში. იქვე მსხდარან სხვები და ღვინოს შეექცეოდნენ თურმე. სარუხანოვს ერთისთვის ჩხუბი აუტეხნია. უცნობს უძვრია რევოლვერი და როდესაც სხვები მიშველებიან, უეცრად გავარდნილა და სარუხანოვი ხელში დაუჭრია.

✦ 1 დეკემბერს, ნაშუადღევს 1 საათზედ, ვორონცოვის ქუჩაზე ჩხუბი მოსვლიათ გიორგი ოქუაშვილს და გიორგი ავალოვს. უკანასკნელს ოქუაშვილს ზურგში დანით დაუჭრია.

✦ 30 ნოემბერს, ნაშუადღევს 4 საათზედ, ციციანთ აღმართზე პოლიციამ დააპატიმრა ტფ. მცხოვრებელი არუთინ ალალოვი, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა რევოლვერი ბულდოგის სისტემისა, რის ტარების უფლება მას არა ჰქონია.

## ქუთაისი

✦ **მეხუთე აფთიაქი.** ქალაქის გამგეობამ, თანახმად საბჭოს დადგენილებისა, შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, მიეცეს ქალაქს პრივილეგია მეხუთე აფთიაქის გახსნისა; იმ შემთხვევაში თუ რაიმე მიზეზით ეს შუამდგომლობა აქ იქნება შეწყნარებული, ნება მიეცეს ქალაქს, გახსნას თავის აფთიაქის ფილიალური განყოფილება იმ უბანში, სადაც ეს უფრო საჭირო აღმოჩნდება.

✦ **საყასბოს გაცემა.** მას შემდეგ, რაც საჯარო ვაჭრობა მოხდა ქალაქის საყასბოს იჯარით გასაცემად, ქალაქის გამგეობაში რამდენიმე პირმა შეიტანა განცხადება, რომლითაც ისინი უმატებენ საიჯარო ფულს. ყველაზე მეტს იძლევა გ. ქაჯაია, წლიურად 16,520 მანეთს. საჯარო ვაჭრობის დროს კი ყველაზე მეტი შეაძლია ი. ნარსიამ, წლიურად 14,205 მან.

✦ **სახელოსნო განყოფილება.** მთავრობის ექვს-კლასიან საქალაქო სასწავლებელთან აპირებენ სახელოსნო განყოფილების გახსნას. ხსენებულ სასწავლებლის ინსპექტორი ს. დ. გაგუა, აცნობინებს რა ამას ქალაქის გამგეობას, სთხოვს, ქალაქმა ყოველ-წლიური დახმარება გაუწიოს სკოლას. ამავე სასწავლებლისათვის განზრახულია საკუთარ შენობის აგება ქალაქის წყალ-გაღმა ნაწილში, მესამე ალექსანდრეს ქუჩაზე, რისთვისაც ხსენებულ სასწავლებლის ინსპექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას, ერთ-დროული დახმარება აღმოუჩინოს სასწავლებელს ადგილის შესაძენად და შენობის ასაგებად.

✦ ქალაქის გამგეობამ დააწესა გამგეობის წევრთა მორიგეობა: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით მორიგედ ითვლება ი. ს. ფანცხავა, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით—კ. დ. ბაქრაძე.

# წერილები

**კახეთი.** კახეთზე აღარაფერი იწერება. იქნება მკითხველმა იფიქროს, ბედნიერად გრძნობს კახეთი თავს და განცხრომით მიმდინარეობს მისი ცხოვრებაო. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის საკმაოა ერთი-ორი დღე დაჰყოს კაცმა კახეთის რომელსამე სოფელში, რომ ნათლად დაინახოს მისი სიდუხჭირე, სიღარიბით გამოწვეული, რასაც, სხვათა შორის, ხელს უწყობს მისი შრომის უფასობა, ნაწარმოების უბაზრობა, ფასის დაცემა და უგზო-უკვლობა. მეურნემ რომ მოსავალი მოიყვანოს, უნდა ფეხ ადგე აქციოს, რომ დაიკმაყოფილოს თავისი სხვა და სხვა საჭიროება, თორემ თუ ჭირნახულს ვერ გაასაღებს, გინდ მოსულა, გინდ არა, სულ ერთია.

წელს მოსავალს ვერ დაემდურებიან კახელები, თავ-თავის დროზე არც ავდარი აკლდა, არც დარი. ცოტა სეტყვამ ბევრ ადგილს დაჰკრა, მაგრამ შესამჩნევი ზარალი არ მოუტანია. პურის და სიმინდის მოსავალი საშუალოდ რომ ავიღოთ კარგი იყო, სიმინდმა უფრო გადააჭარბა. ღვინო საშუალოდ რომ ვიანგარიშოთ, შარშანდელზე ნაკლები მოვიდა, ადგილ-ადგილ კი წინა წლებს გადააჭარბა. ნაკლები მოსავალი უფრო გაღმა მხარეს მოვიდა, გამოღმა, ხამეტნაგად ქვემო მხარეს, მომატა. ყველაზე ძალიან ჭირჭლის უმოვლელობამ შეაწუხა მცხოვრებნი; ბევრმა მთაში, სადღაც ძველის-ძველი ქვევრები გარეკა და იქ ჩაასხა. მევენახე იძულებული იყო, რთველი შეეწყვიტა იმ დრომდე, ვიდრე ჭურჭელს იშოვნიდა. როგორც იყო, რთველი გათავდა, დიდ ძალი ღვინო დამზადდა გასასყიდად და ელის მუშტარს. მაგრამ სადაა იგი და ეხლა, როცა დაზამთრდა, ვიღა მოვა. თუ ვინმე ორიოდე საპალნეობით როგორმე გაჰყიდა, ფასი საპალნისა 25—35 მანეთზე ზევით არ მიდის. ეს შაბიამან-გოგირდის და რთველის ხარჯს ვერც კი აუვნებს.

რამდენადაც წინად ხელი შეუწყო ჭირნახულს, იმდენად შემოდგომაზე შეუშალა ხელი. თითქმის შემოდგომა არა ყოფილა კახეთში. ოქტომბერში სულ სწვიმდა და დიდად გასტანჯა სოფლელნი რთველის დროს; ერთი კვირა ზედიზედ მზიანი დღეები არა ყოფილა. ორ ნოემბრიდან დაიწყო თოვა და არშინზე დასდო მთელ კახეთში. არავის ახსოვს ამ დროს ასე უებად ზამთრის დაწყება. ზემო მხარეს თოვლმა რამდენიმე ვენახიც მოიყოლა დასაკრეფი. ეს კიდევ არაფერი, რომ შემდეგ პატარა გამოიდარნა. დიდ თოვლს ზედ დაერთო მკაცრი ყინვა-სიცივე და ისევ თოვლი, რასაც თოვლ-ჭყაფი მოჰყვა.

ადრიანი ზამთარი დიდად ხელს უშლის სოფლელთ. ყველა მოუმზადებელია. მხვნელმა დათესვა ველარ მოასწრო, სახნავები დაუთესავი დარჩა; წინად შემოდგომაზე ვენახების უმრავლესობა ამ დროს იხვლებოდა ხოლმე, წელს-კი იშვიათ ვაზს მიეკვრება საბარი. ხალხს ამინდის გამო სულვაზე მეკრა, ველარ მუშაობს, ყველა საქმე გაზაფხულისთვის რჩება, მაშინ-კი ვერ მოასწრობს, რადგანაც ერთ დროს მო-

უხდება ტყეში წასვლა, ვენახში მუშაობა და გუთან-ფარცხის გატანაც.

**ეული.**

---

**ზემო ქართლი.** როგორც გაზეთებში უკვე იყო აღნიშნული, 8 ნოემბერს სოფ. ხუნდის-უბანში თ-დი ფალავანდიშვილები ღორის საბალახეს იყოფდნენ. ერთ ღორზედ შელაპარაკდნენ, გაჩნდა მიწევ-მოწევა, გავარდა თოფი, თ-დ ვას. ფალავანდიშვილს მოჰხვდა შუბლში ტყვია და ხმა-ამოუღებლივ თოვლზე დაეცა; გავარდა მეორედ თოფი და მის. ფალავანდიშვილი ორმა ტყვიამ დასცა ძირს და თოვლი წითლად შეიღება. ასეთი ამბავი მოხდა ერთი ღორის გულისათვის. ეს ორი ვაჟკაცი გამოესალმა წუთი-სოფელს.

რამ გამოიწვია ეს სისხლის ღვრა? ამ კითხვაზედ ცოტა შორიდან მოხდება ლაპარაკი.

დაიწყო მოძრაობა თუ არა, საფალავანდო კანტორამ მოქმედება მოსპო. ტყე უპატრონოდ იყო წელიწად-ნახევარი. 1906 წ. აგვისტოში თ-დ ფალავანდიშვილებმა, გენერალ-გუბერნატორის ნება-რთვით, 40 ბერდანა მიიღეს, როგორც თავიანთ ოჯახების, ისე ტყეების დასაცველად. მმართველად თ-დ კ. ბ. ამოირჩიეს. მე მომოხოვეს, როგორც ძველ გამგეს საფალავანდო მამულისას, ჩამებარებინა ახალ მმართველისთვის კანტორის ბეჭედი, საქმეები და დავთრები, რაც კი გადარჩა არეულობას. მე არ გადავეცი, რადგან თ-დი კ. ბ. უკანონოდ იყო არჩეული. ახალმა მმართველმა მაინც საფალავანდო ტყის მართველობას თავი არ გაანება, დაამზადა ახალი დავთრები, ბეჭედი, ბილეთები და დაიწყო მოქმედება. თ-დ კ. ბ. მმართველობამ ერთ წელიწადს გასტანა. ავად თუ კარგად იგი უძღვებოდა მოვალეობას. ერთი წლის შემდეგ თ-დ ფალავანდიშვილებიდან გამოიყო რამდენიმე პირი, შედგა ახალი „ჯგუფი“. მმართველს თ-დ კ. ბ. მისტაცეს კანტორას ბეჭედი და დავთრები და აირჩიეს მმართველად თ-დი შ. ფ. ვექილობის ქაღალდის მიცემა მოინდომეს. რადგან ჩემი მმართველობის საქმე, ვექილობის ქაღალდი ჯერ კიდევ გაუქმებული არ იყო და უფლება მქონდა ვექილობა სხვა პირზედ გადამეცა, დამიჭირეს შალაში ერთ კაკლის ქვეშ და მომთხოვეს თ-დ შ. ფ--სთვის გადამეცა ვექილობის ქაღალდი, საქმეები, ბეჭედი და დავთრები. მე მათ უკანონო მოთხოვნაზედ უარი განვაცხადე. შემომიტიეს—მოგკლავთო, მეც ჩემი ვექილობის ქაღალდი მათ თვალწინ დავხიე. ამის შემდეგ ავიდნენ სურამში ნოტარიუსთან და თ-დ შ. ფ. ვექილობის ქაღალდი გადასცეს. ამ ქაღალდზედ 7 კაცს უწერია ხელი, იმათაც კი მოუწერეს ხელი, ვისაც იურიდიულად უფლება არა ჰქონდა. ამ რიგად, თ-დ შ. ფ. მიითვისა საფალავანდო ტყის მმართველობა.

დაიწყეს მართვა-გამგეობა ტყეებში. ყოველ ნაბიჯზედ ძალმომრეობა ისმოდა. საჩხერიდან მოყოლებული ცხინვალამდის გაყიდეს და გამოყიდეს. ხან ცარიელ მოდენილ ურემს გზაში ართმევდნენ. ხან ხარს და კამეჩს ურმიდან უშვებდნენ და პატრონებს ძვირად ახსნევინებდნენ. შარშან ღორის საბალახეს აღებაზედ დიდი უსამართლობა ჩაიდინეს. წინად როგორც წესი და ადათი იყო, ღორის საბალახეში ასს სულზედ ხუთს იყვანდნენ, დიდზედ—დიდს, პატარაზედ—პატარას. რომელ სოფელშიაც ღორის საბალახე იყო ასაყვანი, იქ აირჩევდნენ გლეხებს ხუთს კაცს და რაც საბალახეს ეკუთნოდა, მათ უნდა გადაეწყვიტათ. ახლა „ჯგუფისტებს“, როგორც მოეპრიანებოდათ, ისე იქცეოდნენ, ე. ი. ვისაც ხუთი სული ჰყავდა, რჩეულ ღორს ართმევდნენ, ზოგს შუაზედ უყოფდნენ, ზოგსაც სრულიად ართმევდნენ.

გლეხებმა მათ ძალ-მომრეობაზედ სხივარი აღსძრეს, მაგრამ ყურადღებოდ იქმნა დატოვებული. ამ ზაფხულს სოფ. აგუნვიდან ამ „ჯგუფისტების“-ას სულზედ მეტი ნახირი დაიტაცეს და კნოლეში გადმორეკეს. ორ კვირაზე მეტი ჰყავდათ; მეშა საქონელს ამეშვებდნენ, ძროხებს წველიდნენ. ვიდრე თითო სულზედ თითო მანეთი არ გადაახდევინეს, არ დაანებეს. საქონლის პატრონებმა მიმართეს გორის მაზრის უფროსს ბ-ნ ბაქრაძეს, მაგრამ მან არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

საკითხავი ეს არის, ვის მამულიდან მოიტაცეს ეს ამოდენა ნახირი? სოფ. აგუნვის მამული საჩ წილი გაყიდულია თ-დ ფალავანდიშვილებისაგან თ-დ მაჩაბლებზედ, ერისთავზედ და ოთარიძეზედ, მეოთხე წილი კი მარტო ფერმანკაძეთ ოჯახს ფალავანდიშვილებს ეკუთვნის. გლეხების დარბევას არა სჯერდებოდნენ და თავიანთ მოძმეების და მეზობლების საკუთარ შემოსავალსაც სტაცებდნენ.

შემდეგ მათ „ჯგუფშიაც“ აერიათ გზაკვალი, ყველამ ცალკე დაიწყო ბარათების გაცემა. მმართველის მიერ გაცემული ბარათები არ იყო დანიშნული, არც დავთრებში იყო ჩაწერილი. ზოგი ბარათი უბრალო ქაღალდის ნაგლეჯზე იყო დაწერილი. გლეხებს ამ ბარათებში ფული აქვთ გადახდილი; „ჯგუფისტები“ ხელმეორედ ართმევდნენ. აი ამის გამო ყველამ ცალკე გასცა ღორის საბალახის ბარათები. მმართველმაც ბლომად გასცა და რაც მიიღო მიითვისა; თავის ამხანაგებს არ დაანება.

როდესაც მივიდნენ ხუნდის-უბანში, დასარწმუნებლად გლეხებს მმართველს მიერ გაცემული ბარათები მოსთხოვეს. ნახეს საქმე რაშიაც იყო; შემდეგ ერთმანეთშიაც აერიათ ანგარიში და დატრიალდა უბედურობა. სისხლის ღვრამ უდანაშაულო მიხა შეიწირა.

**დუშიკო ფალავანდიშვილი**

---

# სპარსეთის ამბები

**შაჰის სარდლები კონსტიტუციას თხოულობენ.**

თავრიზელ რევოლუციონერთა წინააღმდეგ შებრძოლ შაჰის ჯარის ყოფილი მთავარი სარდლები თხოულობენ კონსტიტუციის აღდგენას. ერთმა ამათგანმა საპეხდარ-სალტანემ შაჰს განუცხადა, აუცილებლად კონსტიტუცია მიანიჭე ხალხს, თორემ შეურევ მრავალრიცხოვან რაზმებს და აჯანყებას მოვახდენო (ტ. ღ.)

**პირველ სავადმყოფოს გახსნა თავრიზშ.**

27 ნოემბერს უნდა გაეხსნათ თავრიზში პირველი საზოგადო სავადმყოფო. განზრახულია ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულების გახსნა დიდის ამბით მოხდეს. სხვათა შორის ენჯუმენმა მოწვევის ბარათები დაუგზავნა უცხო სახელმწიფოების ელჩებს და წარმომადგენელთ. მოწყობა სავადმყოფოსი მინდოდი ჰქონდათ თავრიზელ სომხებსა და ქართველებს, როგორც უფრო ყველაზე კულტურულ ხალხს.

**აჯიბშირელ რევოლიუციონერთა მდგომარეობა.**

თავრიზში ენჯუმენმა დეპეშა მიიღო აჯიბშირში გამაგრებულ ფიდაებისაგან, რომელნიც იტყობინებიან, გაჭირვებულ მდგომარეობაში ვიმყოფებითო. აჯიბშირი ურმიის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და ამ რამდენიმე ხნის წინად იგი რევოლიუციონერებმა ჩაიგდეს ხელში, როგორც კარგი პოზიცია. რევოლიუციონერთა წინააღმდეგ გაემართა თვით სულთან-ხანი დიდძალი ჯარით, ჯერ კი აჯიბაშირს ამ ჯარის მოწინავე რაზმი უახლოვდება. რევოლიუციონერების მცირე რაზმი დიდ გაჭირვებაში ჩავარდება, თუ ან უკან არ დაიხია ან დახმარება არ მიიღო თავრიზიდან. ამიტომ ფიდაები საჩქაროდ სთხოვენ თავრიზის ენჯუმენს, ნება მოგვეცით უკან დავიხიოთო. ამის გამო შეიკრიბა ენჯუმენი და გამართა თათბირი. ბაგირ-ხანი ამატკიცებდა, სანამ მოწინავე რაზმი მარტო მიდის, დავეცეთ და გავანადგუროთო. მარკამ ამ აზრის მომხრენი ცოტანი აღმოჩნდნენ. ენჯუმენი ვერავითარ გადაწყვეტილ აზრს არ დაადგა.

**სპარსეთის ხალხის პეტიცია.**

თეირანის თორმეტი წარჩინებული მოქალაქე კონსტიტუციონალისტი ხალხის და განსაკუთრებით მუშტეიდ სეიდ-ედზის სინდისიდღობით მიემგზავრება ევროპაში. ესენი მიმართავენ ყველა დიდ სახელმწიფოს პარლამენტებს და ცნობილ გაზეთების რედაქციებს, ხმა ამოიღონ სპარსეთის ხალხის დასაცავად. ასეთი მოწოდება სპარსეთის ხალხისა რუსეთისადმი, როგორც უკვე მოგვედით, გადაეცემა სათათბიროში წარსადგენად მიღეუკოვს, როგორც ოპოზიციის ლიდერს. მოწოდებაში აწერია ის, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება სპარსეთის ხალხი და შემდეგ მოწოდება იმის შესახებ, რომ თავისუფალმა ევროპამ აღიმაღლოს ხმა სპარსეთის ხალხის ადამიანურ უფლებათა დასაცველად. სპარსეთის ხალხს სურს განთავისუფლდეს პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ მონობისაგან და დაადგეს აღორძინების გზასო.

**სეიდ-აბდულას განთავისუფლება.**

მეჯლისის დათხოვნის შემდეგ დაატუსაღეს ცნობილი კონსტიტუციონალისტი, პარლამენტის წევრი მუშტეიდი სეიდ-აბდულა. სპარსეთის ქურდისტანის გამგე დაუდ-ხანი, რომელმაც ამას წინად თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა, დაეცა თავის რაზმით სატუსაღოს, მცველები დახოცა და ძალით განათავისუფლა კონსტიტუციონალისტი სეიდ-აბდულა. ამბობენ, დაუთხანს სურს ისარგებლოს იმით, რომ სეიდ-აბდულს დიდი გავლენა აქვს ხალხზე, შეჰკრიბოს დიდი ჯარი და გაემართოს სხვა ადგილების ასაღებად.

**შაჰის ინსტრუქცია.**

თეირანში 29 ნოემბერს გაავრცელეს შაჰის ინსტრუქცია მეჯლისის შესახებ. მეჯლისის წევრები დაინიშნებიან შაჰისაგან ორი წლის ვადით. საკანონმდებლო და თხოვნების და შეკითხვების მიღების უფლება მეჯლისისა შეზღუდულია, შეუძლიან კონტროლი გაუწიონ მხოლოდ მინისტრებსა და სამინისტროს საქმეს.

---

# ბალკანეთი

**ავსტრიის ელჩი და ბოიკოტი.**

როგორც ვიცით, ავსტრია მეტად დააფრთხა ბოიკოტმა. სტამბოლის ელჩს პალავიჩინს დაავალეს, ერთხელ კიდევ მოსთხოვოს ოსმალეთს ბოიკოტის მოხსნა ისიც მხნედ შეუდგა მინდობილების ასრულებას მაგრამ ამაოდ—ბოიკოტი კვლავ მოქმედებს. პალავიჩინი არწმუნებს ოსმალეთის მთავრობას, ავსტრია მზად არის კონფერენციაზე დასთანხმდეს და მეგობრულად გაათაოს საქმე. დიდმა ვეზირმა მიუგო ამაზე, მე არ შემიძლიან ვიბრძოლო ეროვნულ გრძნობის წინააღმდეგ; უმჯობესია ჯერ შეთანხმება მოხდეს და მერე მივიღოთ ზომები ბოიკოტის მოსასპობადაო. პალავიჩინმა ვერაფერი მოაგვარა. დიპლომატიურ წრეებში ირწმუნებიან, რომ ავსტრია გაიწვევს პალავიჩინს, რაკი ბოიკოტი უფრო ძლიერდებაო.

**ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი და ბოიკოტი.**

ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს გადაუწყვეტია, მონაწილეობა არ მიიღოს არავითარ მოლაპარაკებაში ავსტრიასთან ბოიკოტის მოხსნის შესახებ. კომიტეტს აზრადა აქვს, პასიურიდან აქტიურ მოქმედებაზე გადავიდეს და არ შეუშვას ოსმალეთის მიდამოზე ავსტრიის საქონელი. გერმანელ პოლიტიკოსებს ჰგონიათ, კომიტეტის ასეთი გაბედული მოქმედება იმითი აიხსნება, რომ ინგლისი საიდუმლოდ დახმარებას უწევსო.

**ავსტრიის ახალი საშუალება ბოიკოტის მოსახსნელად.**

ვენიდან ატყობინებენ ლონდონში, რომ ავსტრია ოც მილიონ მანეთს აძლევს ოსმალეთს ბოსნია-ჰერცოგოვინის შეერთების გამო. ავსტრია ფიქრობს ამითი ბოიკოტი მოახსნევინოს. ამას გარდა ცნობილი ორიენტალისტი პროფესორი ვეიმბერი მიდის სტამბოლში. დავალებული აქვს, მოელაპარაკოს ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს ბოიკოტის შესახებ.

**პოლიტიკური მოღვაწე ვასილევიჩი.**

დუშან ვასილევიჩი, სერბიის სახალხო ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი, ამ ჟამად პარიზშია და ასე აგვიწერს ავსტრიელების მოქმედებას ბოსნია-ჰერცოგოვინაში. ანექსიის წინ, 23 მარტს, ამბობს ვასილევიჩი, ჟანდარმერიამ საყოველთაო ჩხრეკა მოახდინა. გაუჩხრეკავი არც ერთი სახლი არ გადარჩა. დალმაციის საზღვარზე რამდენიმე რევოლვერი აღმოაჩინეს. მთელ ბოსნია-ჰერცოგოვინაში მხოლოდ ათამდე რევოლვერი ნახეს. ეხლა იარაღი აღარ მოგვეპოვება. ოსმალეთის ხელში რომ ვიყავით, იარაღი მაინც გვქონდა, ეხლა იმისი გვეშინიან, რომ უკიდურეს მდგომარეობაში ჩაყენებული ხალხი ორთითებითა და კეტებით არ შეეტაკოს ზარბაზნებიან და ხიშტიან ჯარს. დილიდან საღამომდე დარბიან ჟანდარმები, სჩხრეკენ სახლებს, ყურს უგდებენ, რომ ორი-სამი კაცი არ შეიკრიბოს ერთად და არ მოილაპარაკოს რამეზე. ეგრედ წოდებული „შავი კაბინეტი“ მხნედ მოქმედებს; წერილს გაუხსნელს არ უშვებენო. ამის შემდეგ ვასილევიჩმა განაცხადა: „მესამოცდაათე წლებში ჩვენ ავმართეთ აჯანყების დროშა ოსმალეთის მონობის წინააღმდეგ და ავსტრიელების მონობის ქვეშ კი ჩავცვივდითო“.

**მანიფესტაცია ბელგრადში**

27 ნოემბერს დილით სტუდენტების მეთაურობით გადაიხადეს პანაშვიდი ლიუბლიანში დახოცილთა სულის მოსახსენებლად და აგრეთვე გადაიხადეს პარაკლისი პრაგაში დაჭრილ ჩეხების სადღეგრძელოდ. პანაშვიდსა და პარაკლისს დაესწრნენ პარლამენტის წევრები, პროფესორები, ნაციონალურ თავდაცვის კომიტეტის წევრები, ჩეხების კოლონიის წარმომადგენელნი, სლოვენები და მომღერალთა საზოგადოებანი. პანაშვიდის შემდეგ აუარებელი ხალხი გაემართა ქალაქის მთავარ ქუჩებით უნივერსიტეტისაკენ. ბოლოს მანიფესტანტები დაიშალნენ, წესიერება [illegible] დაურღვევია. გაუგზავნეს დეპეშა ლიუბლიანის ქალაქის თავს გრიბარს და პრაგის უნივერსიტეტის სტუდენტებს.

**ბოსნია**

სარაევოდან „რუსკ. სლ.“ ატყობინებენ, რომ ბერჩკაში (ჩრდილოეთი ბოსნია) დაატუსაღეს თექვსმეტი ცნობილი ვაჭარი. დანარჩენი სერბიელნი, მართლმადიდებელი და მაჰმადიანი მცხოვრებნი ჩაჰკეტეს თავიანთ სახლებში და ჟანდარმები და სალდათები დაუყენეს მცველებად. მღვდელი კოსტა პოპოვიჩი დაატუსაღეს და მეორე დღეს მოჰკლეს. იქაური სავაჭრო სკოლა საპყრობილედ გადააქციეს. დაჰკეტეს სერბების ერთად-ერთი სასტუმრო. ავსტრიის მთავრობამ ფიცხელი ბრძანებები დაჰგზავნა ყველგან სერბების ერთად-ერთ ბელეტრისტულ ჟურნალის „ბოსანსკა ვილა“-ს რედაქტორის კაშიკოვიჩის დატუსაღების შესახებ. იმპერატორ ფრანც-იოსების იუბილეის დღეს პოლიცია ხალხს ძალას ატანდა, ავსტრიის ბაირაღები გამოჰფინეთო.

გამუდმებით მოდის ჯარი და ბანაკდება სარაევოში, მოსტრასა და ტუზლაში. მე-42 პოლკი დაბანაკდა სრულად მოსტრაში. ბოსნიიდან გადაჰყავთ უნგრეთის პოლკები და სამაგიეროდ გადმოჰყავთ პოლკები ჩეხელ და პოლონელ ჯარისკაცთაგან შემდგარი. ბელინასა და დრაგოვაცს შუა ქვეითი და ზარბაზნიანი ჯარია დაბანაკებული. ბელინაში ორი სასტუმრო კაზარმად გადააქციეს. კონიცაში ავსტრიის ჯარის მთავარი შტაბია 54 ზარბაზნითა და ათი-ათას ჯარის-კაცით. ზორინკაშიც 10.000 ჯარის-კაცია. აშენებენ სიმაგრეებს და გლეხებს აიძულებენ, საჭირო მასალა მოზიდონ. შმაცში მდინარე სავაზე მივიდა 120 საპიორი ოცდა-ათი აფიცრით და ერთი გენერლით. ამათ აზრადა აქვთ, ხელდახელი ხიდი გასდონ მდინარეზე. ყველა მატარებლის ვაგონები დღეც და ღამეც დაბნელებულია. ჯარი უმთავრესად მინდორშია დაბანაკებულია.

**ავსტრიის საქონლის ბოიკოტი**

„ვოლფის სააგენტოს“ დეპეშით ატყობინებენ ქალ. სმირნადან, რომ იქ სხვა და სხვა უცხო ქვეყნიდან საქონელი მოაქვთ ავსტრიის გემებით, მაგრამ ოსმალები არ სცლიან ამ გემებს, რადგან ავსტრიას წინააღმდეგ ბოიკოტია გამოცხადებულიო; ამიტომ ვურჩევთ გერმანელ ვაჭრებს, ვიდრე ბოიკოტი არ მოისპობა, სმირნაში ავსტრიის გემებით ნუღარ გამოგზავნიან საქონელსაო.

**ავსტრიის მზადება საომრად**

ავსტრიამ საომრად დაამზადა 250 ათასი ჯარისკაცი და დიდძალ ჯარს მოუყარა თავი სერბიისა და ჩერნოგორიის საზღვრებზე. ჯარის მობილიზაცია და შეიარაღება ავსტრიას დაუჯდა 65 მილიონი მანეთი. ამას გარდა ავსტრიამ დიდი ფული დახარჯა გაზეთების და პოლიტიკურ წრეების გულის მოსაგებად. საელჩოების მიერ წარდგენილ ანგარიშებს განცვიფრებაში მოჰყავს ავსტრიის ფინანსთა სამინისტრო. ყველაზე მეტი დახარჯულა რომსა და პარიზში. ქრთამს არას დროს არ უთამაშნია ასეთი დიდი როლი საერთაშორისო პოლიტიკაში.

**ბოიკოტის გაძლიერება**

ბოლოს დროს ავსტრიის საქონლის ბოიკოტი უფრო გაძლიერდა ოსმალეთში; ბოიკოტში მონაწილეობას იღებს 5,200 ოსმალელი ფირმა.

რედაქტორ-გამომცემელი
**ივანე სოზიაშვილი.**


# შედგენილი გრ. ჩარქვიანისაგან

**ქართველებისთვის, კათოლიკეთათვის, სომეხთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელთათვის.**

## კედლის კალენდარი

## 1909

**გამოცემა ამხ. „ხორაპანის“.**

ფასი 40 კაპ.

კედლის კალენდრის კარდონზედ დახატულია საზოგადო მოღვაწეთა სურათები. სხვათა შორის მოთავსებულია მეფე **ვახტანგ მეექვსეს სურათი** 200 წ. სტამბის დაარსების გამო საქართველოში და აკაკის სურათი მისი 50 წლის მოღვაწეობის იუბილეს გამო. ტფილისში კალენდრები იყიდება: წერა კითხვის გამავრცელებელ წიგნის მაღაზიაში, „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში, [illegible] „ოქროს“ წიგნის მაღაზიაში და სხვაგან.

დაიბეჭდა და 28 ამ თვეს გამოვა გასასყიდად **ჯიბის კალენდარი** 1909 წ., შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. კალენდარში მოთავსებულია, სხვათა შორის, ბელეტრისტული ნაწარმოები აკაკისა, სამეცნიერო წერილი ივ. გომართელისა, ისტორიული ცნობანი ზ. ჭიჭინაძის და სხვა. კალენდარში მოთავსებულია 30-მდე სურათი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა. ფასი კალენდრისა 20 კაპ.

კალენდრის გამყიდველებს დაეთმობათ 20, 25 და 30 პროცენტი იმის და მიხედვით, ვინ რამდენს იყიდის ერთად.

ადრესი კალენდრების საწყობისა: ტფილისი, სტამბა „ხორაპანი“, მ. გაჩეჩილაძეს.

(10—6—5)



GRAND PRIX

1870 წ. პარიჟი 1900 წ. 1882 წ.

1865 წ. 1896 წ.

# დედამიწაზე საუკეთესო კალოშები

## სამ კუთხით

1860.
Т.Р.А.Р.М
С.ПЕТЕРБУРГЪ.

**რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობა**

**ამ ფირმით „ТРЕУГОЛЬНИКЪ“**

**ს.-პეტერბურგში**

სრული პასუხის-მგებლობა საქონლის სიკარგისა.

**იყიდება ყველგან**

(50—6.—32)